გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულეტეტი
სპეციალობა: საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომი

ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგები განვითარებად ქვეყნებში

სტუდენტი: ლია ერაძე
ხელმძღვანელი პროფესორი: გელა ალადაშვილი

თბილისი 2019

სარჩევი

ანოტაცია.....3

შესავალი 5

1.გლობალიზაციის თეორიული ასპექტები.....7

1.1 გლობალიზაციის თეორია და არსი.....7

1.2 ეკონომიკური გლობალიზაცია 16

2.გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევები.....24

2.1 გლობალიზაცია განვითარებულ ქვეყნებში 24

2.2 გლობალიზაცია განვითარებად ქვეყნებში.....29

3.ეკონომიკური გლობალიზაციის მოსალოდნელი შედეგები 38

3.1 გლობალიზაცია და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები.....38

3.2 გლობალიზაციის პროცესში მიმდინარე პრობლემები და მათი გადაჭრის გზები43

დასკვნა.....48

გამოყენებული ლიტერატურა.....50

ანოტაცია

აღნიშნულ სამაგისტრო ნაშრომში განხილულია გლობალიზაციის პროცესები და მისი განვითარების ეტაპები. ნაშრომში დეტალურად არის მოცემული ყველა ის დადებითი და უარყოფითი პროცესი რაც გლობალიზაციას ახლავს. ძირითადი აქცენტი კეთდება ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესებზე და მის გავლენაზე განვითარებად ქვეყნებში. ასევე საუბარია, თუ რა შედეგების მიღება შეიძლება გლობალიზაციის პროცესში, რა ფაქტორები უწყობს ხელს მის განვითარებას და რამდენად მოქმედებ გლობალიზაციის პროცესები თითოეული ქვეყნის განვითარებაზე.

ნაშრომში მოყვანილია სხვადასხვა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მაგალითები. დეტალურად არის განხილული ის კონკრეტული მიმართულებები და საკითხები რომელზეც უშუალო გავლენას ახდენს გლობალიზაცია.

სამაგისტრო ნაშრომის დეტალური ანალიზის დროს გამოყენებულია 2013-2018 წლის მონაცემები სადაც განხილულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ექსპორტ-იმპორტის რაოდენობის ზრდის ტენდენცია.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის დასასრულს მოცემულია დასკვნა, რომელიც მიღებულია არსებული მასალის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.

Summary

This Master Thesis covers the information regarding globalization processes and its development stages. The Thesis analyses pros and cons of the globalization process in details. The main emphasis is made on economic globalization processes and its impact on developing countries. In addition, the Thesis includes the information regarding the results, which derive from globalization process, factors that assists its development and how globalization processes affect development of each country.

The Thesis provides examples of different developed and developing countries. Specific directions and issues, which have an impact on globalization, are examined in depth.

The sources from the period of 2013-2018 are used while analyzing the growing tendency of direct foreign investments and export-import.

The final part of the Master Thesis provides the conclusion, which is based on the evaluation and analysis of the used sources and materials.

შესავალი

გლობალიზაციის საკითხზე მსჯლობა დროთა განმავლობაში კიდევ უფრო აქტუალური ხდება. საერთაშორისო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა 1970-იანი წლებიდან დაიწყო განვითარება,თუმცა 80-იანი წლებიდან უფრო აშკარა გახდა გლობალიზაციის საკითხების აქტუალურობა.

გლობალიზაცია, არის პროცესი, რომელიც თითქმის ყველა სფეროს მოიცავს, თუმცა ყველაზე ნათლად თავი მაინც ეკონომიკურ პროცესებში იჩინა. მიუხედავად იმისა, რომ გლობალიაცია ძირითადად მაინც ეკონომიკურ პროცესებთან მოიხსენიება, მის მახასიათებლებში მაინც იკვეთება პოლიტიკური, კულტურული და სოციალური სახეები.

გლობალიზაცია თითოეულ სახელმწიფოს იძულებულს ხდის და ამასთანავე აძლევს საშუალებას ბიზნესის განხორციელება მოხდეს საერთაშორისო ბაზარზე. კომპანიებიც აღარ ჯერდებიან მხოლოდ შიდა ბაზარს და ცდილობენ მაქსიმალურად გამოიყენონ მომცემული შესაძლებლობები და პროდუქციია მხოლოდ შიდა ბაზრის ნაცვლად ქვეყნის გარეთაც აწარმოონ.

საერთაშორისო ბიზნესი განვითარების ყველაზე მაღალ დონეს აღწევს განსაკუთრებით იმ კომპანიებში, რომლებიც მოიცავენ საერთაშორისო ვაჭრობის თითქმის ყველა ფორმას,რომელშიც იგულისხმება საერთაშორისო ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ა.შ. კომპანიები, რომლებიც საერთაშორისო ბაზარზე გადიან, მათ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს უწოდებენ. ისინი ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გლობალიზაციის პროცესში, ისინი გლობალური პროცესების მამოძრავებელ ძალადაც კი მიიჩნევა. დღევანდელი გლობალიზაციის პროცესები მუდმივი განხილვის საკითხს წარმოადგენს, განსაკუთრებით კი ეკომიკური გლობალიზაცია და მის გარშემო განვითარებული პროცესები.

აღნიშნული ნაშრომის ძირითადი მიზანია განვიხილოთ გლობალიზაციის არსი, მისი პროცესის დროს მიმდინარე მოვლენები, რა ახდენს ყველაზე მეტ გავლენას გლობალიზაციაზე და რა არის მისი მამოძრავებელი ძალა. კვლევის საგანს, განვითარებული და განითარებადი ქვეყნები წარმოადგენენ , მათზე დაკვირვებით კი შევეცდები ნათლად წარმოჩინდეს გლობალიზაციის გავლენა თანამედროვე მსოფლიოსა და თითოეული ქვეყნის მდგომარეობაზე. ასე განხილუი იქნება გლობალიზაციის პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარეები,რომლი გაანალიზებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს გლობალური პროცესების სწორად წარმართვისთვის.

 გლობალიზაცია ბუნებრივ პროცესს წარმოადგენს, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს, შესაბამისად იგი ვერ ითვალისწინებს კონკრეტული ქვეყნის შესაძლებლობებს, რამდენად აქვს საშულება ფეხი აუწყოს მის პროცესებს. ესა თუ ის სახელმწიფო ვალდებულია ჩაერთოს გლობალურ პროცესებში, რომ მოახერხოს თავის დამკვიდრება მსოფლიო ბაზარზე. აღნიშნული ნაბიჯის გადადგმა ევალება როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყანას,ისევ და ისევ საკუთარი

განვითარებისთვის.გლობალიზაცია დღვანდელი მსოფლიო პროცესების თანმდევია, რომელიც თითქმის ყველა სფეროში გვევლინება.გლობალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვან პროცესს საერთაშორისო ურთიერთობების და საერთო ეკონომიკური პროცესების განვითარება წარმოადგენს. რა თქმა უნდა ეს ყველაფერი არც ისე მარტივი პროცესია და ხშირად განვითარებულ ქვეყნებსაც უჭირთ ამ პროცესებთან შეგუება.

მოცემულ ნაშრომში საუბარია გლობალიზაციის არსსა და მის მნიშვნელობაზე თანამედროვე მსოფლიოში. განვიხილავთ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მაგალითებს, თუ რამდენად შეძლებს გლობალურ პროცესებთან გამკlავება და რა პრინციპებით უნდა იმუშაოს ქვეყანამ რომ არ გაუჭირდეს გლობალურ პროცესბთან ინტეგრაცია.

ნაშრომი სრულდება მოცემული მასალის ანალიზიდან მიღებული დასკვნით. სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს სტატისტიკურ მონაცემებს, რომლის წყაროდაც გამოყენებულია ოფიციალური საიტები (www.geostat.ge) და(www.statista.com).

1.გლობალიზაციის თეორიული ასპექტები

1.1 გლობალიზაციის თეორია და არსი

გლობალიზაცია გულისხმობს მსოფლიოს ქვეყნებსა და რეგიონებში მიმდინარე სოციალური,პოლიტიკური,ეკონომიკური პროცესების ერთიან სისტემაში მოქცევას. გლობალიზაცია აღწერს მსოფლიო ეკონომიკის, კულტურის მზარდ ურთიერთობას, რომელიც მსოფლიო გლობალურ ბაზარზე ვაჭრობით შემოიფარგლება.როგორც პროცესი XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოიკვეთა, მაშინ როცა მსოფლიოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საქმიანობებში გარკვეული მოქმედებიბი დაიწყო. პროგრესულმა ცვლილებებმა საკმაოდ მკვეთრად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკის განვითარება, შესაძლებელი გახდა სცადასხვა ქვეყნების მიერ დაგროვილი პოტენციალის გამოვლენა, რამაც ხელი შეუწყო გლობალიზაციის პროცესის.გლობალიზაციის პროცესი მიზნად ისახავს საქონლის, მომსახურების, შრომისა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის გაუმჯობესებას. ეს პროცესი ასევე პირდაპირ გავლენას ახდენს გარემოზე, კულტურაზე, პოლიტიკურ სისტემებზე, ეკონომიკურ განვითარებასა და კეთილდღეობაზე საზოგადოებაში. გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნისთვის შეიძლება განვითარების და მსოფლიოსთან ინტეგრაციის პროცესს წარმოადგენდეს,თუმცა შესაძლებელია ზოგიერთი ქვეყნისთვის არც ისე სახარბიერლო პროცესი იყოს.

გლობალიზაციის შედეგები პოლიტიკურად გახსნილია, მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური მიღწევების მსგავსად, გლობალიზაციაც მთლიანად საზოგადოებას აძლევს განვითარების საშუალებას. უძველესი დროიდან, საზოგადოება ეძებდა შორეულ ადგილებს ტექნოლოგიებისა და ტრანსპორტირების გაუმჯობესებით, თუმცა მე-19 საუკუნეში გაჩნდა გლობალური ინტეგრაცია, რომელმაც ბევრად გაამარტივა ყველაფერი. გლობალიზაცია ხელს უწყობს თითოეულ ქვეყანას იმ პროდუქტის წარმოებაში, რომელშიც ნაკლები რესურსის დახარჯვა უწევს, აღნიშნული კონცეფცია უფრო ეფექტიანად აწარმოებს, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და ამასთანავე ამცირებს საქონლისა და მომსახურების ფასებს, რაც პროდუქტს უფრო ხელმისაწვდომს ხდის.გლობალიზაციის პროცესში, შედარებით მსხვილი ბაზრები საშუალებას აძლევენ კომპანიებს მიაღწიონ უფრო მეტ მომხმარებლებს და მიიღონ უფრო მაღალი შემოსავალი ბიზნესის წარმოების დროს ფიქსირებული ხარჯებით.

დროთაგანმავლობაში, მსოფლიო უფროდაუფრო გლობალიზდება, რაც შესაბამისად იწვევს შემოსავლების უთანსაწორობას. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს რომ შემოსავლების უთანასწორობაში საკმაოდ დიდი როლი უკავია გლობალიზაციას, თუმცა ამის დამტკიცება არცისე მარტივია. გლობალიზაციის პირობებში, როცა კომპანია მსოფლიო ბაზარზე შედის შესაბამისად მისთვის დასაქამების არეალიც საკმაოდ იზრდება. კომპანიების უმრავლესობა, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაშია განთავსებული, მაშინ როცა მისი მსოფლიო მასშტაბით გავრცელებით ბევრად დიდი წარმატების მოპოვებაა

შესაძლებელი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციას შეუძლია შექმნას მაღლანაზღაურებადი სამუშაო ადგილები. მიუხედავად იმისა რომ, საზოგადოებას შორის უთანასწორობას უყურებენ, გლობალიზაცია უფრო მეტად დაემთხვა თანასწორობას თანამედროვე და განვითარებად ეკონომიკებს შორის.

აქვე უნდა ღინიშნოს, რომ თითოეული ქვეყნისთვის დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს ტრანსნაციონალური ორგანიზაციები, რომლებსაც გლობალიზაციის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მისია აკისრიათ. უნდა აღინიშნოს რომ ბევრი ტრანსნაციონალური კომპანიის ბრუნვა შესაძლებელია განვითარებადი ქვყენის ეკონომიკურ ბრუნვასაც კი აღემატებოდეს. ფაქტი, რომ ტრანსნაციონალურ ქვეყნებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ტექნოლოგიური ინოვაციების შემუშავებასა და განვითარებაში ეს მათ კიდევ უფრო მეტად აძლევს საშაუელაბას, რომ არ დაკარგონ ბაზარზე პოზიციონირების შესაძლებლობები. ამას გარდა ისინი საკმაოდ გლობალურად აფასებენ მათ გარშემო, მსოფლიოში წარმოქმნილ პრობლემებსა მისი განვითარების სტრატეგიებს.ძირითად ძალად გლობალიზაციის პროცესში მიიჩნევიანი ტრანსნაციონალური ქვეყნები, ისინი ასრულებენ ძირითად სავაჭრო სამუშაოებს ინვესტიციების და სამრეწველო პროდუქცის წარმოების დარგში. დროთა განმავლობაში მსოფლიო ბაზარზე კიდევ უფრო მეტი ტრანსნაციონალური კომპანია იჩენს თავს, რომელებიც აქტიურად მუშაობენ გლობალიზაციის პროესებში ჩასართავად და ცდილობენ მაქსიმალურად გააუმჯობესონ საერთაშორისო ურთიერთობები და მოიზიდონ საზღვარგარეთული კონტრაქტორები.ეს ორგანიზაციები რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ გლობალიზაციის პროცესის წარმართვის ეტაპებს. ტრანსნაციონალურ ქვეყნებს შეუძლიათ დააჩქარონ გლობალიზაციის პროცესში ნაკლებად განვითარებული ქვეყნების განვითარების პროცესები და ამით აღმოიფხვრას განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებული წინააღმდეგობები.ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კომპანიებს შეუძლიათ შეუქმნან საფრთხე კონკურენტ ქვეყნებს, არსებულ კაპიტალის ექსპორტით ან სამუშაო ადგილების შემცირებით. ტრანსნაიცონალური ორგანიზაციები აკონტროლებენ ასევე პროდუქციაზე მოთხოვნის რაოდენობას და შესაბამისად არსებულ მომხმარებელთა გემოვნებასა და მოთხოვნილებას მაქსიმალურად თავიანთი პროდუქციისკენ მიმართავენ. მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო აქტიურად მიმდინარეობს ახალინდუსტრიულ ქვეყნებში ტრანსაციონალური ორგანიზაციების ჩამოყალიბება, ისინი აქტიურად ცდილობენ საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებას რაც შესაბამისად გლობალიზაციის განვითარების შემდეგი ეტაპი იქნება.

გლობალიზაცია წარმოადგენს განვითარების ეტაპს, რომელიც განვითარების ეტაპებს საზოგადოების განვითარებასთან ერთად გადის. მსოფლიოში მიმდინაე გლობალური პროცესების პარალელურად რა თქმა უნდა გარდაუვალია არ წარმოიქმნას გარკვეული გლობალური პრობლემები, რომლის მოგვარებისთვისაც შესაბამისად საჭიროა საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბება, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს და ხელს შეუწყობს გლობალიზაციის პროცესს. გლობალიზაცია არის პროცესი რომელიც ასახავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის

ერთიანი გზების ძიებას. [ეს შეიძლება იყოს როგორც ეკოლოგიური, სასურსათო, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სფეროების მომცველი. ერთი შეხედვით გლობალიზაციის იმანენტური ბუნება სხვა არაფერია თუ არა ეკონომიკების ერთიანი სოციალური ორიენტაცია. —ინდუსტრიული საზოგადოების გადაზრდამ პოსტინდუსტრიულში ახალი ბიძგი მისცა მსოფლიო განვითარებას და დააჩქარა გლობალიზაციის პროცესი.] ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მან ეკონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა“ გლობალიზაციის პროცესი ხასიათდება მთელი რიგი ფაქტორებით. რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ ტრანსნაციონალური ქსელების განვითარება, საფინანსო სფეროს სწრაფი გლობალიზაცია, ინფორმაციულ ტექნოლოგიათა განვითარება და მსოფლიო ეკონომიკების ლიბერალიზაცია. (ეს უკანასკნელი ბოლო 5 წელიწადია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო ხშირად ნაკლებადაა გამოხატული). —რაც ყველაზე მთავარია მიმდინარეობს ინტეგრაციული რეგიონალური ეკონომიკური ბლოკების შექმნა, რომლებიც მსოფლიო მეურნეობის მნიშვნელოვანი სუბიექტები გახდნენ”.[1]

გლობალიზაციას თანამედროვე პირობებში აქვს როგორც ნეგატიური ისე პოზიტიური პროცესები. რათქმა უნდა არ შეიძლება გლობალიზააციისგან შორს ყოფნა,რადგაც იგი ქვეყნის ერთ ეტაპზე გაჩერებას და განუვითარებლობას გულისხმობს. გლობალიზაციას რა თქმა უნდა დიდი კავშირი აქვს ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში. მაქსიმალურად უწყობს ხელს ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას, მათ ერთმანეთზე დამოკიდებულსაც კი ხდის, ეს [2]პროცესები კი აყალიბებს ღია საზოგადოებას გარკვეულ ქვეყნებში და რა თქმა უნდა ანადგურებს ტოტალიტალურ რეჟიმებს ეკონომიკასთან ერთად. გლობალიზაცია ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებას მსოფლიო მასშტაბით. თუ ინდუსტიულ საზოგადოებაში განვითარების საფეხურს მატერიალური კაპიტალი წარმოადგენდა დროთაგანმავლობაში წინა პლანზე ცოდნის დაგროვებამ გადმოინაცვლა. XXI საუკუნისათვის ჩამოყალიბდა ეკონომიკური განვითარების ახალი მოდელი, რომელშიც უმთავრეს როლს ინტელექტუალური კაპიტალი და ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები ასრულებს.

საინფორნაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც ახდენს გლობალიზაციის პროცესის დაჩქარებას და მის ხელშეწობას. სამწუხაროა ფაქრი, რომ ტექნოლოგიების გავრცელება ვერ მოხდა გლობალურ ბაზარზე იმ დონეზე როგორც საერთაშორისო ვაჭრობამ მოახერხა. გლობალური ფირმები ინოვაციების განვითარებისათვის ცოდნას სხვადასხვა საინფორმაციო ცენტრების მეშვეობით იღებენ, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში მდებარეობს. აღნიშნულს საკამაოდ დიდი როლი უკავია ახალი ტექნოლოგიების წარმოშობაში, რაც კიდევ უფრო ეხმარება როგორც ფირმას ასევე დარგობრივ საქმეს გლობალიზაციის დონის ამაღლებაში.ტექნოლოგიური გლობალიზაციის ხარისხის

[1] შ.ვეშაპიძე, ე.ლეკაშვილი, ა.გრიშიკაშვილი, ნ.ასლამაზიშვილი. მსოფლიო ეკონომიკა. თბილისი. 2008. გვ.133

[2] https://www.bartleby.com/essay/Globalization-Evolution-F3FGBTAJP6AX

შესაფასებლად,საჭიროა გავაანალიზოთ მაჩვენებელი რომელიც უკავშირდება გაწეულ დანახარჯებსა და მის განვითარებას. დანახარჯებში შესულია ყველა ის რესურსი, რომელიც გამოიყენება ახალი პროდუქტის შესაქმნელად ან არსებული პროდუქტის გასაუმჯობესებლად. იგი ასევე მოიცავს კაპიტალურ დანახარჯებს, რომელიც შედგება მიმდინარე შრომითი დანახარჯებისგან.განვითარებისათვის გაწეული დანახარჯების მიხედვით განვითარებულ ქვეყნებში მოწინავე ადგილს იკავებს ჩინეთი, ხოლო მის შემდეგ ადგილს კი იკავებს რუსეთი.

XX-XXI საუკუნისთვის საჭირო გახდა გლობალიზაციის კომპლექსური მაჩვენებლის შემუშავება, რაც გამოწვეული იყო გლობალური პროცესების განვითარებით. KOF[3] გლობალიზაციის ინდექსი შეიქმა 2002 წლისთვის, რომელიც ძირითადად ეყრდნობა მსოფლიო ბანკის, ვაჭრობისა და განვითების შესახებ გაეროს კონფერენციის წლიურ ანგარიშებს. 2018წლის KOF ინდექსის ზოგადი მაჩვენებლის მონაცების მიხედვით, პირველ ათეულში ლიდერობენ: ბელგია,ნიდერლადი, შეიცარია,ავსტრია, შვედეთი, დანია,გერმანია.აღნიშნული ინდექსის მიხედვით, რომელიც გამოხატავს ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირების ხარისხს საქართველო 64.43 % ით 51-ე ადგილზეა.[4]



სტატისტიკური მონაცემების თანახმად, KOF ინდექსის მიხედვით რომელიც განსაზღვრავს ქვეყენაში ეკონომიკური და სოცილური გლობალიზაციის გავლენას, შვეიცარია და ნიდერლანდები მოწინავე ადგილებს იკავებენ.ცხრილზე მოცემულია მსოლიო პირველ ხუთეულში შემავალი ქვეყნები, რომლებმაც ფეხი აუწყეს გლობალურ პროცესებს ყველა დარგში და შესაბამისად მოწინავე ადგილიც დაიკავებს მსოფლიო ბაზარზე. შვეიცარია 91.17% ნიდერლანდები 90.97%

[3] KOF-გლობალიზაციის ინდექსი, რომელიც ზომავს ქვეყანაში გლობალიზაციის გავლენას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ჭრილში.

[4] https://www.statista.com/statistics/268168/globalization-index-by-country/

გლობალიზაცია იყოფა სხვადასხვა სახეებად, **სოციალური გლობალიზაცია, პოლიტიური გლობალიზაცია, ეკონომიკური გლობაიზაცია. სოციალურიგლობალიზაცია** არის საერთაშორისო ურთიერთიბების ჩამოყალიბება, მსოფლიო საზოგადოებას შორის, რომელიც განისაზღვრება ქვყანაში განვითარებული სხვადასხვა პროცესების ოდენობით. მაგალითად განისზღვრება საერთაშორისო ტურიმის განვითარების დრონით,ქვეყანაში არსებულ უცხოეთლა წილით, ყოველ 1000 კაცზე ინტერნეტით მომხმარებელთა რაოდენობით, წიგნების ვაჭრობით მიღებული შემოსავლების წილით მთლიან შიდა პროდუქტში. სოციალური გლობალიზაციის, კულტუს უნივერსალიზაციის საფუძველზე, ხელს უწყობს ჩამორჩენილ ქვეყნებში მხოვრებ საზოგადოებაში თანამედროვე ცივილიზაციის ელემენტების დამკვიდრებაში. სოციალური გლბალიზაციის მაჩვენებლის მიხედვიტ პირველ ათეულში შედის ქვეყნები : ირლანდია, ლუქსემბურგი, ავსტრია, ბელგია, გრენადა, ანტიგუა და ბარბუდა, კვიპროსი, პუერტო რიკო, სინგაპური. რაც შეეხება საქართველოს აღნიშნულ KOF ინდექსის მაჩვენებლის მიხედით 58.94% ით 83-ე ადგილი უკავია.

პოლიტიკური გლობალიზაციას რაც შეეხება იგი განისაზღვრება ქვეყანაში არსებული საელჩოებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების რაოდენობის მიხედვით, იმის მიხედვით თუ რამდენად ბევრი საერთაშორისო ქვეყნის წევრია. საერთაშორისო წესრიგის დამყარებაში ძალიან დიდი როლი აკისრია გაეროს და სხვა სტრუქტურებს. KOF კოეფიციენტის მიხედვით პოლიტიკური გლობალიზაციის მაჩვენებლის მიხდვით პირველ ათეულში შედის ქვეყნები: საფრანგეთი, იტალია, შვედეთი, ესპანეთი, კანადა, შვეიცარია, აშშ, პოლონეთი, ბელგია, ავსტრია. რაც შეეხება საქართველოს იგი 46.08 % ით 138-ე ადგილს იკავებს.

უნდა აღინიშნოს რომ გლობალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს პოლიტიკა.ის რომ პოლიტიკური ურთიერთობები უფრო მეტად მყარდება სხვადასხვა ქვეყნებს შორის ცხადია, ამ პროცესებში საკმაოდ დიდ გავლენა აქვს ევროკავშირს. ინფორმაციული განვითარების ეტაპების გავლა ქვეყანას აძლევს საშუალებას თავისი პოლიტიკა მსოფლიოსთვის ცნობილი გახადოს, საინფორმაციო ტექნოლოგიოები ხელს უწყბს პოლიტიკის განვითარებას და საკმაოდ მარტივად ახდენს საზოგადოებამდე მიღწევას. [გლობალიზაცია, ეკონომიკური კარგახსნილობა, ხშირ შემთხვევაში, მასიური შეუფერხებელი მიგრაციული პროცესები ერთმხრივ ვითომ ამცირებს უმუშევრობას ერთ რომელიმე ქვეყანაში, მაგრამ ამავდროულად ზრდის უმუშევრობას მეორე ქვეყანაში. ეს მოვლენა მსოფლიო კრიზისის ფონზე სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება. ამავდროულად, სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ერთი გარემოება, რომელიც პოსტინდუსტრიული საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი, კერძოდ, მაღალი ტექნოლოგიები, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროცესი იწვევს სამუშაო ძალის მუდმივ გამოთავისუფლებას. განსაკუთრებით რეალურ სექტორში. უნდა მოხდეს ამ

სამუშაო ძალის ზუსტი პროფორიენტაცია და გადასროლა შესაბამისად სხვა სექტორებში, თუნდაც ეს იყოს მომსახურების სფერო.][5]

უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო არენაზე განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი მომსახურების სფეროსადმი. ამჟამად მსოფლიოში უკვე აღიარებულია მომსახურების დარგების უდიდესი მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. ეს აზრი მტკიცედ დამკვიდრდა სოციალურად და ეკონომიურად განვითარებული ქვეყნების სპეციალურ ლიტერატურულ გამოცემებში, ეკონომიკის ექსპერტებისა და ცნობილი პრაქტიკული მუშაკების შეფასებებში. ყოველივე ამის გამო მომსახურების ბიზნესის შემდგომი მაღალი ტემპებით განვითარების აუცილებლობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ერთ–ერთ მთავარ ამოცანად გადაიქცა.მომსახურების ბიზნესის გლობალიზაციის თავისებურებათა შესწავლის აუცილებლობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მაშინ, როდესაც მთელ რიგ ქვეყნებში მისმა განვითარებამ მიაღწია მაღალ დონეს. კერძოდ, მაშინ, როცა ამ ქვეყნებში მომსახურების ბიზნესმა ძირითადად დააკმაყოფილა შიდა ბაზრის მოთხოვნები და დღის წესრიგში დადგა მომსახურების საზღვარგარეთის ქვეყნებში გატანისა და გლობალურ პროცესებში ჩაბმვის საკითხი. გლობალიზაციის პროცესი პირველად დაიწყო ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, რადგან სწორედ აქ მიაღწია მომსახურების ბიზნესმა განვითარების მაღალ დონეებს.

XXI საუკუნეში მსოფლიო მთლიანად მოიცვლა გლობალიზაციის პროცესმა და ყველა სფეროში შეძლო გარკვეული განვითარების მოპოვება. რა თქმა უნდა არც პოლიტიკა არ ყოფილა გამონაკლისი და სწორედ ამიტომ ჩამოყალიბდა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელშიც მსოფლიო ქვეყნების უმეტესი ნაწილია შესული. მაგალითად ევროკავშის იდეოლოგიის თანახმად ევროპა ერთიან პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს, თავისი ენობრივი თუ კულტურული განსხვავებების მიუხედავად.

და რაც მთავარია პოლიტიკური გლობალიზაციის ყველაზე დადებით მხარეს თავისუფალი ვაჭრობა წარმოადგენს, რომელიც ხელწ უწყობს ექსპორტისა და იმპორტის ზრდას. პოლიტიკური გლობალიზაცია წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმდინარეობს საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, რომლებიც ზრუნავენ მსოფლიო კეთილდღეობაზე.

ეკონომიკური გლობალიზაციაში განისაზღვრება საქონლის, მომსახურების, კაპიტალის საზღვარგარეთ გატანის მასშტაბები, ასევე განისაზღვრება საგარეო ვაჭრობაში ჩართულობა, ცხოური ინვესტიციების ქეყანაში შემოდინების მოცულობა, საიმპორტო ბარიერები და საბაჟო პოლიტიკის ხარისხი.იგი ასევე განისაზღვრება, როგორც ეკონონიკური თანაფარდობა ქვეყნებს შ[6]ორის ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი საკმაოდ მნიშვნელოვანია თითოეული ქვეყნისთვის, იგი ხელს უწყობს და აძლიერებს

[5] მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და გლობალიზაციის თავისებურებანი-სოლომონ პავლიაშვილი ეკონომიკური გლობალიზაცია, თანამდროვეობის მთავარი გამოწვევამხარეები. გამომცემლობა „უნივერსალი“ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია 6-7 აპრილი, 2012 წელი

[6] https://www.bartleby.com/essay/The-Impact-Of-Globalization-On-The-Economy-F3DBP83VGXYQ

ქვეყნებს შორის ურთიერთობებს. ეკონომიკურ გლობალიზაციას აქვს ორი სახე, ეს არის მიმდინარე ეკონომიკური ნაკადები და მეორე ვაჭრობაზე და კაპიტალზე შეზღუდვებ. მსოფლი: ო ეკონომიკაში ქვეყნის ინტეგრირების ხარისხის განსაზღვრის დროს ვნახავთ რომ პირველ ათეულში შედის ქვეყნები: სინგაპური, ლუქსემბურგი, ირლანდია, მალტა, ბელგია, ესტონეთი. რაც შეეხება საქართველოს KOF ინდექსის მიხედვით 69.43% ით 51-ე ადგილზეა.

გლობალიზაციის პროცესში წარმოიშვა სხვადასხვა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პროცესები,როელიც გულისხმობს აწარეების მაღარ ეფექტიანობას, ფასების სმცირებას და პროდუქციის ასორტიმენტის ზრდას. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის პროცესს საკმაოდ რადიკალური ცვილებები შეაქვს ეროვნულ სახელმწიფოთა სტრუქტურაში.არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე მას უჭირს აკონტროლოს სავალუტო კურსი, სასაქონლო ნაკადები მაგრამ მიუხედავად ამისა იგი მაინც ვალდებულია პასუხისმგებლობა აიღოს მოქალაქეების განათლებაზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. გლობალიზაციის ეპოქაში უნდა აღინიშნოს რომ სახელმწიფოს აღარ აქვს საშუალება იყოს ტოტალირალური,მიუხედავად იმისა რომ ეკონომიკა [7]დროთაგანმავლობაში კიდევ უფრო იძენს ამ თვისებას. თითოეული ქვეყანა ეყრდნობა გლობალიზაციის ერთიან აზრს და არ აძლევენ საშუალებას სხვა რომელიმე პოლიტიკას განვითარების საშუალებას.დროთაგანმავლობაში გლობალიზაციამ ეროვნული ბაზრის გაუქმებით სახე შუცვალა ეროვნულ კაპიტალიზმს და შესაბამისად ქვენებსაც აღარ აქვთ შესაბამისი საშუალება, რომ წინ აღუდგნენ ფინანსურ ბაზრებს. სახელმწიფოებს შესაბამისად მხოლოდ თავიანთი სავალუტო მარაგები შერჩათ, იმისათვის რომ საჭიროების შემთხვევაში წამგებიანი სავალუტო ტენდენციები შეაჩერონ. ხშირად გამოთქვამას თანხმობას მთავრობა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გატარებულ ეკონომიკურ დრექტივებზე, ამით კი აშკარა ხდება რომ გლობალიზაციის პირობებში ფინანსური ბაზარი პირველ ადგილზეა, ხოლო სახლმწიფო კი უმწეოა მასთან შედარებით. არც უნდა განიხილებოდეს ის ფაქტი, რომ გლობალიზაციის პროცესი ასუსტებს ეკონომიკურ სუვერენიტეტს, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, რომლებიც მთლიანად დამოკიდებულები არიან სხვა ქვეყნის ვალუტაზე.გლობალიზაციის პროცესის შესაბამისად ეკონომიკის მართვასა და რა თქმა უნდა მის რეგულირებაში არ უნდა ჩაერიოს სახელმწიფო ან მინიმუმამდე უნდა შემცირდეს მისი როლი ამ პროცესში. გლობალური გადატრიალების დროს, ძირითადად ზარალდებიან პატარა და სუსტი სუვერენული სახელმწიფოები.

ეკონომიკური გლობალიზაციის განხილვა ასევე შეგვიძლია, როგორც ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდის პროცესი. გლობალიზაციის განვითარებაში ასევე საკმაოდ დიდი როლი ითამაშეს მთავრობებმა. მაგალითად როცა ჩამოყალიბდა საერთაშორისო შეთანხმება ვაჭრობის და ტარიფების შესახებ, ამის შემდეგ კი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩამოყალიბებამ და რა თქმა უნდა სატარიფო

[7]https://www.bartleby.com/essay/The-Impact-Of-Globalization-On-The-Economy-F3DBP83VGXYQ

ბარიერების რეგულირებამ ხელი შეუწყო გლობალიზაციის პროცესის განვითარებას. როგორც უკვე აღვნიშნე მსოფლიოს ქვეყნები ერთმანეთზე დამოკიდებულები ხდებიან თავიანთი წარმოებით. მოცემული პროცესების დროს მაქსიმალურად არის შეზღუდული ქვეყნებს შორის მანძილი, რაც განპირობებულია ბაზარზე დაშვების შეზღუდვების გაუქმების შედეგად. საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებებით თითოეული ქვეყანა მაქსიმალურად ერთვებიან ტრანსნაციონალურ პროცესებში.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ გლობალიზაცია არის პროცესი, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია, იგი არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონკურეციის წარმოშობის მიზეზი, მაგრამ ამავე დროს მას დიდი როლი აქვს ურთიერთობისა და თანადგომის პროცესში. თითოეულმა ქვეყანააუცილებელია გლობალიზაციის პროცესი წარმართოს საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, რომ სასურველ შედეგს მიაღწიოს, რასაკვირველია ეს უნდა ხდებოდეს ტექნოლოგიების განვითარებით, მეცნიერების განვითარებით. აუცილებელია თითოეულმა ქვეყანამ გლობალიზაციის პროცესში მაქსიმალურად შეინარჩუნოს საკუთარი კულტურული ჩვევები. არსებობს მოსაზრება, რომ გლობალიზაციის პროცესში არის დიდი ალბათობა სახელმწიფოს გაუქმებისა, რადგამ ეკარგება გარკვეული ფუნქციები, თუმცა თითოეულ ქვეყანა მიმართული უნდა იყოს გლობალიზაციის დროს არსებული ნეგატიური პროცესების განეიტრალებისაკენ, კონკურენტუნარიანობის ამაღლებისაკენ.

გლობალიზაციის პროცესის დროს იბადება კითხვა, გლობალიზაცია დადებითად მოქმედებს მსოფლიო განვითარებაზე თუ უარყოფითად. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმისთვის, რომ თითოეულმა ქვეყანამ გადადგას პროგრესული ნაბიჯები, ეკონომიკაში, რელიგიაში, ცხოვრების წესსა და ტექნოლოგიურ განვითარებაში. ეკონომიკის საკითხებში გლობალიზაცია გულისხმობს მსოფლიო ეკონომიკის მზარდ ურთიერთდამოკიდებულებას სასაქონლო და მომსახურების, სასაზღვრო ვაჭრობის საერთაშორისო კაპიტალის ნაკადისა და ტექნოლოგიების ფართო და სწრაფი გავრცელების შედეგად მიღებულ შედეგებს. იგი აჩვენებს ბაზრის გაფართოებას და ინტეგრაციას, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკური განვითარების უცვლელი ტენდენციაა. გლობალიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიოს მასშტაბით ეკნომიკური ექტორის წინსვლაში.

გლობალიზაციამ ჩამოაყალიბა ფართო საერთაშორისო ეკონომიკა, ბაზრების ინტეგრაცია, ბაზრების ინტეგრაცია და მსოფლს მასშტაბით პროდუქტის შემოდინება. გლობალიზაცია საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება წლების განმავლობაში, ეკონომიკის განვითარებისათვის. ტექნოლოგიების გაუმჯობესება, რომელიც გლობალიზაციის თანმდევი პროცესია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სატრანსპორტო, საკომუნიკაციო და სასაქონლო ხარჯების შემცირებით, ასევე ამცირებს მონაცემთა დამუშავებისა და ინფორმაციის შენახვის ფასს. ასევე უნდ აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების ფასი მცირდება, ტექნოლოგიური განვითარების შედეგად.

გლობალური წარმოების პროცესის მართვაც შესაძლებელია და მისი კოორდინაციაც. მაგალითად Ford's Lyman ის ავტომობილის დიზაინი შეიქმნა გერმანიაში, გადამუშავების სისტემა კორეაში და გარკვეული მექანიზმი ამერიკაში, ხოლო საბოლოოდ ავტომობილი ავსტრალიაში დამუშავდა. უდავოა, რომ აღნიშნული გლობალური პროდუქტი, თავის მხრივ იმოქმედებს ტექნოლოგიების განვითარებაზე. საწარმოების დიდი რაოდენობა სკამაოდ სწრაფად იზრდება, რაც ეროვნული საზღვრების გადაკვეთას კიდევ უფრო მეტად ამარტივებს.

გლობალიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნულ ეკონომიკაზე. პირველრიგში გლობალიზაცია ახდენს პირაპრ ინვესტიციების განვითარებას, რაც უფ მნიშვნელოვანია, ვიდრე საერთაშორისო ვაჭრობის ზრდა. ფაქტობრივად, ტექნოლოგიური განვითარება, სამრეწველო ორგანიზება და მსოფლიო საწარმოების შექმნა რომელიც საკმაოდ დიდი გავლენას ახენს ეროვნულ ეკონომიკაზე, ასევე ერთ-ერთი სტიმულატორია უცხოური ინვესტიციების.როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტექნოლოგიური პროგრესი აქტიურად მოქმედებს გლობალიზაციის პროცესზე, მაგრამ ტექნოლოგია კიდევ უფრო სრაფად და ფართოდ გავრცელდა, რადგან ეს ყველაფერი უმეტესად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედეგია. შემდეგი ეს არის სერვისების განვითარების დაჩქარება, ფინანსური, იურიდული და სიანფორმაციო მომსახურების განვითარება. ეს გახდა საერთაშორისო ბიზნესის ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხური. 1970 წელს, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მომსახურების ექსპორტირება ბევრად უფრო ნაკლები იყო ვიდრე ეს დღესდღეობით არის, რა თქმა უნდა აღნიშნული მონაცემების ზრდა დროთაგანვლობაში კიდევ მოსალოდნელია.

თუმცა, გლობალიზაცია ასევე გარკვეულ პრობლემებს ასახელებს საერთაშორისო ეკონომიკებზე. გლობალიზაცია ქმნის რეგიონალურ ან მსოფლიო ეკონომიკურ სისუსტეს,რისი გამომწვევი მიზეზიც მსოფლიო ეკონომიკის ურთიერთდაკავშირებულობისგან არის გამოწვეული.მაგალითად, 1997 წელს ტაილანდიდან დაწყებულმა ფინანსურმა და გაცვლითმა კურსმა ცუდი გავლენა მოახდინა სამხრეთ აზიის ეკონომიკისა და სამხრეთ კორეაზეც კი. თუმცა პრობლემის მოგვარება შესაძლებელია, ახალი ინსტიტუტის,მრავალი ორგანიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესების გზით. ბევრმა ინსტიტუტმა, განსაკუთრებით კი სავალუტო ფონდმა შესაძლოა, აღნიშნული პრობლემა საკმაოდ მარტივად აღმოფხვრას, იმ ქვეყნების ხელშეწყობით, რომლებსაც ეკონომიკური სისუსტე დ არასტაბილურობა აღმოაჩნდათ.[8]

გლობალიზაცია ხელ უწყობს საერთაშორისო ეკონომიკის მარკეტინგული კონკურენციის ესკალაციას.მარკეტინგულ კონკურენციას შეუძლია, მრავალი მიზნის მიღწევაში დაეხმარება, რომელიც ხელს უწობს პროდუქციის რაოდენობის და ხარისხის ზრდას. გლობალიზაციის პროცესში ხდება შრომის განაწილება, რომლის საფუძველზეც იზრდება წარმოება არა მხოლოდ ქვეყანაში, არამედ საერთაშორისო ბაზარზეც.სპეციალიზაციისა

[8] https://academized.me/globalization-essay

და შრომითი გაყოფის სხვა მნიშვნელობა, საქონლისა და მომსახურების ხარჯების შემცირებაა და შემდეგ ამ პირობებში ეკონომიკურ სექტორში მუდმივი წინსვლის საშუალება. მრავალი წლის განმავლობაში, გლობალიზაცია ხელს უწყობს პროდუქტიულობის გაზრდას მსოფლიო მასშტაბით წარმოების რაციონალიზაციის, ტექნოლოგიური გაფართოებისა და საერთაშორისო ბაზარზე შემოქმედებითი კონკურენციის მეშვეობით.

ამრიგად, გლობალიზაცია არის გარდაუვალი პროცესი, რომელიც დღევანდელი მსოფლიოს თანმდევი პროცესია. გლობალიზაციის პროცესები ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ განვითარებას მიუხედავად თავისი უარყოფითი მხარეებისა. დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებასა დასაერთაშორისო ურთიერთობებზე, იმპორტ-ექსპორტი რა თქმა უნდა თავისმხრივ უფრო მეტად გლობალური ხდება და შესაბამისად სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაც ბევრად უფრო მარტივად მიმდინარეობს.ყველა ის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს გლობალიზაციის დროს პირდაპირ მოქმედებს ქვეყნის განვითარების წინსვლაზე, განვითარებად ქვეყნებს ეხმარება ახალი ინოვაციების ათვისებაში, განვითარებული ქვეყანა კი კიდევ უფრო მეტად ინარჩუნებს თავის პოზიციებს მსოფლიო ბაზარზე.

1.2 ეკონომიკური გლობალიზაცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ გლობალიზაცია მრავალმხრივ განვითარებული პროცესია, მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს კი ეკონომიკური გლობალიზაცია წარმოადგენს, რომელიც ფინანსური გლობალიზაციის სახით ბრუნდება. **ეკონომიკურ გლობალიზაციაში** განისაზღვრება საქონლის, მომსახურების, კაპიტალის საზღვარგარეთ გატანის მასშტაბები, ასევე განისაზღვრება საგარეო ვაჭრობაში ჩართულობა, ცხოური ინვესტიციების ქეყანაში შემოდინების მოცულობა, საიმპორტო ბარიერები და საბაჟო პოლიტიკის ხარისხი.ეკონომიკური გლობალიზაცია ეხბა მსოფლიო ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულებას, სასაქონლო და მომსახურების მასშტაბით. ეკონომიკურ გლობალიზაციას განსაზღვრავენ როგორც მომსახურების,სამუშაო ძალისა და საერთაშორისო ბაზრენის ურთიერთკავშირს, რის შედეგადაც ყალიბდება გლობალური ეკონომიკა, ანუ ერთიანი ეკონომიკური სისტემა.იგი ასახავს ბაზრის საზღვრების მუდმივ გაფართოებას და ურთიერთდამოკიდებულებას მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებაზე. ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი საკმაოდ მნიშვნელოვანია თითოეული ქვეყნისთვის, იგი ხელს უწყობს და აძლიერებს ქვეყნებს შორის ურთიერთობებს. მეცნიერებისა დ ტექნოლოგიის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეამცირა სტრანსპორტო და დაკომუნიკაციო ხარჯები,რამაზ ეკონომიკური გლობალიზაცია წამროშვა.ეკონომიკური გლობალიზაციაგანვიტარებას სხვადასხვა მიმართულებებით პოვებს, ამ ეტაპისთვის ყველაზე დიდი უპირატესობა ფინანსურ გლობალიზაციაში გამოიხატება. ფინანსურ გლობალიზაციას მნიშვნელოვანი როლი ძირითადად განვითარებად ქვეყნებში ენიჭება.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში იგულისხმება, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საწარმოებს შორის მყარი ეკონომიკური კავშირები.გლობალური ეკონომიკა გულისხმობს ერთიან ეკონომიკურ სისტემას, რომელშიც მოქცეულია ერთმანეთზე დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკებისგან. ეს პროცესი საგრძნობლად ცვლის მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირებას, რომლის საფუძველზეც წარმოიქმენება გლობალური ეკონომიკა სადაც არ არის სახელმწიფო საზღვრები და არც სახელმწიფო არ არის ერთადერთი მოთამაშე. ეკონომიკური გლობალიზაციის საფუძველია წარმოების ზრდა და მისი ინტერნაციონალიზაცია, რამაც თავის მხრივ საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ეროვნული კაპიტალის დაბანდებაში და რა თქმა უნდა კაპიტალის ინტერნაციონალიზაციაში. აღნიშნული პროცესი საკმაოდ ნათლად გამოვლინდება ეროვნული კომპანიის, მსხვილ ტრანსნაციონალურ კომპანიად გარდაქმნის პროცესში. გლობალიზაციის ტერმინი ხშირად გამოიყენება ისეთ პროცესებთან როგორიცაა, წრმოება, ბაზარი, კონკურენცია. კორპორაციები მაქსიმალურად ცდილობენ გლობალიზაციის პროცესში გამოიყენონ თავიანთი მაქსიმალური რესურსი, რაც გულისხმობს მათ გადანაცვლებას მსოფლიო წარმოებაში, დისტრიბუციაში. ფინანსური გლობალიზაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია, რომელის დროსაც ხდება ფინანსური ბაზრების შერწყმა და ყალიბდება ერთიანი ფინანსური ბაზარი. აღნიშნული პროცესის დროს, ფინანსური სისტემა არ არის მიმართული მხოლოდ ერთ რომელიმე ქვეყანაზე, არამედ მიმართულია ქვეყნების ერთობლიობაზე და ამასთანავე კონკრეტულ შემთხვევაში გეოგრაფიული მდებარეობაც კარგავს თავის მნიშვნელობას. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფინანსური გლობალიზაცია რა თქმა უნდა არ მოიცავს მთელ მსოფლიოს, მისი ძირითადი გამოვლინების ეპიცენტრებია აშშ, დასავლეთ ევროპა და იაპონიაა, თუმცა ამ კონკრეტული ფინანსური ცენტრების გავლენა კი ნამდვილად იგრძნობა უამრავი განვითარებადი ქვეყნების ფინანსურ მართვაზე.

ეკონომიკური გლობალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანი ნიშანია ამათუ იმ ქვეყნის ეროვნული ვალუტის მიმოქცევა მის საზღვრებს გარეთ, უნდა აღინიშნოს რომ ამ კუთხით 2002 წლამდე აშშ არ თმობდა თავის პოზიციებს, მანამ სანამ არ შემოიღეს ერთიანი ეროვნული ვალუტა ევრო. უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის ეკონომიკურ კრიზისს გარკვეული ბიძგი აშშ-ში 2000- 2007 წლებში განხორციელებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამაც მისცა. ჯერ კიდევ 2004 წელს ცნობილმა ეკონომისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა პოლ კრუგმანმა თავის მონოგრაფიაში "დიდებული ტყუილი" პირდაპირ მიანიშნა, რომ ამერიკისთვის რთული იქნებოდა გაბერილი საპენსიო, სამედიცინო და სამხედრო პროგრამის მომსახურება, რომელიც ძირითადად საარჩევნო კამპანიის პიარ-პროგრამა იყო.[9]მსოფლიო ბანკების უმრავლესობა გლობალიზაციის ხანაში ერთმანეთთან ინტერნეტით არიან დაკავშირებულები, რომლის საფუძველზეც აღარ საჭიროებს ტერიტორიული ადგილმდებარეობის ცვლილება იმისთვის რომ რომელიმე საბანკო ანგარიშიდან თანხა გაანაღდო, ამისთვის ერთი ანგარიშის არსებობაც კი

[9] ი.მესხია. —გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა‖. ჟურნალი სოციალურ ეკონომიკა №2. თბილისი. 2009

საკმარისია. ეკონომიკური გლობალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროცესს წარმოადგენს ოფშორული ცენტრების წარმოქმნა, სადაც ინვესტორი იღებს საკმაოდ დაბალ გადასახადს გამარტივებული მომსახურების სანაცვლოდ. თითოეული ქვეყნის ბაზარზე საკმაოდ დიდ ადგილს იკავებს სხვადასხვა ქვეყნის პროდუქცია რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა ეკონომიკური გლობალიზაციის.თითოეულ სავაჭრო ცენტრში არსებული პროდუქცია მიუთითებს ფინანსული[10] გლობალიზაციის პროცესის მიმდინარეობაზე. ფინანსური გლობალიზაციის შედეგად საკმაოდ მკვეთრად გაიზარდა საინვესტიციო პორტფელი,მოხდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სწრაფი ზრდა, რომელსაც თან სდევდა სხვადასხვა პროცესები. ფინანსური გლობალიზაციის პროცესში კომპანიები ფუნქციონირებენ ეროვნულ საზღვრებს გარეთ. სწრაფად განვითარებად გლობალიზაციის პროცესში, უმთავრესი როლი უკავია პირდაპირ ინვესტიციებს, რომელიც ქმნის პირდაპირ და გრძელვადიან ფინანსურ ურთიერთობებს. მისი მეშვეობით შესაძლებელია მოხდეს როგორც მიმღები ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ასევე არსებული საწარმოო პროცესების განვითარებაც. ასევე გლობალიზაციის მთავარ კომპონენტს წარმოადგენს საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ბაზარზე ვაჭრობა, მაგალითად იმპორტის დროს ქვეყანა ხდება დამოკიდებული უცხოელ მწარმოებელზე, ხოლო ექსპორტის დროს ადგილობრივი ბაზარი უცხოურ ბაზარზე ხება დამოკიდებული.საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ეკონომიკური გლობალიზაციის განვითარებაზე ტექნოლოგიური პროცესების განვითარება. ტექნოლოგიებიდან მიღებული და გაცემული შემოსავლები. იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიური წინსვა და ტექნოლოგიური განვითარება ეკონომიკური გლობალიზაცი მამორავებელი ძალა იყო, მაშინ მსოფლიო ბაზარზე ორიენტირებული რეფორმა უნდა ჩაითვალოს ამ ტენდენციის მამოძრავებელ ძალად.

რაც დრო გადის თითოეულ ქვეანაში უფრო და უფრო დიდი ადგილს იკავებს უცხოური წარმოების საქონელი რაც ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია [11]ეკონომიკური გლობალიზაციის არსებობისა. როგორც საქონლის ასევე მომსახურებით ვაჭორბა ხაზს უსვამს ახალ და მზარდი გლობალური ბაზრების არსებობას. გლობალიზაციის ცალკეული მიმართულებები ხშირად ერთმანეთზეა დამოკიდებული, მაგალითად თითოეული დარგის გლობალიზაცია განაპირობებს, კონკურენციის გლობალიზაციას. ხშირად რთულია ერთმანეთისაგან განვაცალკეოთ გლობალიზაციის სხვადასხვა სახეები.დღესდღეისობით გლობალიზაციის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მსოფლიოში ერთიანი ეკონომიკური წესის შემუშავება და შემდეგ მისი თითოეულ ქვეყანაში განვითარება. ეს პროცესი კი საკმაოდ რთულია და ხშირად გავნითარებული ქვეყნების ეკონომიკასაც კი უჭირს მიმდინარე პროცესებთან გამკლავება.ეკონომიკური პროცესების თავისუფლებას საპირისპირო მოვლენების მოსდევს თან. ერთი მხრივ მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყნების მეურნეობათა ინტეგრაცია, იქმნება თავისუფალი სავაჭრო ზონა,

[10] ა.აბრალავა. „ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია“ გვ.155

[11] https://www.bartleby.com/essay/Negative-Effects-of-Globalization-F33ZQSXHKUEY

ხოლო მეორე მხრივ სხვადასხვა ქვეყნები დროთა განმავლობასი ამჟღავნებებ მსოფლიო ბატონობის სურვილს.

გლობალიზაცია არის პროცესი, რომელმაც განსაკუთრებული გავლენა მსოფლიოს განვითარებაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოახდინა. გლობალიზაციის პროცესები როგორც აღვნიშნე ვაჭრობის პროცესების განვითარებას, ტურიზმისა და მიგრაციის ზრდას, კულტურული თვისებების გაცვლას და ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას. თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის განხილვა უნდა მოხდეს გლობალიზაციის პროცესებთან ერთად და უნდა განიხილოს როგორც გლობალური ეკონომიკა. გლობალურ ეკონომიკას ახასიათებს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების მკვეთრი ცვლილება და მნიშვნელოვანი ზრდა. შედეგად ეკონომიკური პროცესები ერთმანეთზე დამოკიდებულს ხდის ქვეყნებს და შესაბამისად ერთ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ ცვლილებებს შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვა ქვეყნებზე. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით გამოირჩევა აშშ, რომელიც მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების შემდეგ მაქსიმალურად ცდილობდა თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას. ქვეყნებს შორის ეკონომიკური ბარიერების დარღვევის შემდეგ ამერიკულ კომპანიებს დიდი შესაძლებლობა ქონდათ, რომ განვითარების უმაღლესი ეტაპისთვის მიეღწიათ, ეს ყველაფერი კი ევროპული ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის სისუსტიდან გამომდინარე ხდებოდა. თავისუფალი ვაჭრობის რეალობასი გადმოტანის შემთხვევაში, აშშ შეძლებდა მოეხდინა მსოფლიოს დიდი ნაწილის ექსპანსია, რაც მისთვის მიუღწეველი არ აღმოჩნდა მისი კომპანიები დღესდღეობის საკმაოდ დიდ მოგებას ნახულობენ სხვადასხვა ქვეყნის ბაზარზე. დღესდღეობის აშშ-ს ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკური პროცესების მამოძრავებელ ძალად განიხილება, მისი ნებისმიერი ეკონომიკური პროცესესი დადებითი თუ უარყოფითი ცვლილება თითოეული სხვა ქვეყნის ეკონომიკაზე აისახება. რა თქმა უნდა აშშ-ს ეკონომიკური ცვლილებები ყველაზე მეტ გავლენას უშუალოდ მოკავშირე ქვეყნებზე ახდებს საკმაოდ დიდ გავლენას, რომელთანაც სხვადასხვა ეკონომიკური ურთიერთობები აქვს ჩამოყალიბებული. იგი ყველზე უფრო მეტ გავლენას ახდენს კანადაზე, მექსიკაზე, სამხრეთ კორეაზე, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაზე. რაც შეეხება ევროპულ ქვეყნებს მისი გავლენა შედარებით უფრო ნაკლებად იგრძნობა. დღესდღეობით აშშ ლიდერი ქვეყანაა თავისი ეკონომიკური მდგომარეობით, ეკონომიკური სიძლიერის მოპოვებაში კი მას დოლარი ეხმარება, რადგან იგი გამოიყენება მსოფლიო ვაჭრობის უდიდეს ნაწილში. დაახლოებით 89%-ით არის ჩართული დოლარი მსოფლიო ვაჭრობის პროცესებში. შესაბამისად დოლარის კურის ცვლილება პირდაპირ გავლენას ახდენს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე, შესაბამისად იგი ან განვითარების პროცესებს დადებითად უწყობს ხელ ან პირიქით ხელს უშლის განვითარების პროცესების მიმდინარეობას. დოლარის კურსის ცვლილება პირდაპირ მოქმედებს ნავთობის მიწოდება-მოთხოვნის პროცესსა და სხვადასხვა ეკონომიკურ, სავაჭრო ურთიერთობებთან. შეიძლება თამამად ითხვას, რომ აშშ-ს აქვს ხელთ ისეთი ბერკეტი, რომლითაც მის მთავრობას შეუძლია თავისი პოლიტიკური მიზნებისთვისაც გამოიყენოს.

ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესები შესაძლებელია გაიყოს როგორც დადებით ისე უარყოფით პროცესებად. რომ განვიხილოთ პირველ რიგში დადებითი მხარეები აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში, სადაც მიმდინარეობს გლობალური პროცესები ყალიბდება ცივილიზაციის საერთო ჩვევები, ეკონომიკური გლობალიზაცია აიძულებს ამათუ იმ ქვეყნის მთავრობას აღმოფხვრას კორუფცია და ჩამოაყალიბონ სოციალურად ძლიერი ეკონომიკა. ასევე უნდა გამოვკვეთოთ ის ფაქტიც, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის დროს ძალიან სწრაფად ვითარდება ახალი ტექნოლოგიები, გლობალიზაციის პირობებში ხდება კონკურენციის გაძლიერება. დღესდღეობით რაც ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს, ხდება ერთმანეთისგან განსხვავენა განვითარებად და განივთარებულ ქვეყნებში ცხოვრების დონეებს შორის.

ფინანსური სექტორის გლობალიზაცია,ყველაზე სწრაფად განვითარებადი და ეკონომიკური გლობალიზაციის ყველაზე გავლენიანი აქტი გახდა.დროთა განმავლობაში ეკონომიკური გლობალიაცია დამისი თანმდევი პროცესები ბევრად უფრო დამოუკიდებელი გახდა. სასაქნლო და შრომის ბაზართან შედარებით, ფინანსური გლობალიზაცია წარმოადგენს ერთად ერთ სფეროს, რომელმაც გლობალიზცია მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობით გაგვცნო.

ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი ასევე გლბალურ სმარეწველო რეგულირების პროცესია.მენიერების და ტექნოლოგიების განვითარებით დ არსებული შემოსავლების გაზრდით ყველა ქვენაყანა ცდილობდა რეფორმების გატარებას. ბოლო წლებში განვითარებული ქვეყნები თანდათონიბით შედიან ცოდნის ეკონომიკის ეპოქაში. ცივი ოს შემდეგ, არსებობდა ჭარბი პროდუქტიულობა, რამაც მსოფლიო საერთაშორისო ბაზარზე კონკურენცია გააძლიერა.განითარბლი ქვეყნები დომინანტურ როლს თამაშობენ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში, განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტის მოცულობა 1996 წელს ექსპორტიებულმა პროდიქციამ განვითარბულ ქვეყნეშიმთლიანი მსოფლიო ვაჭრობის საერთო ღირებულება 81.7 შეადგინა.

ეკონომიკური გლობალიზაციის ინდიკატორები წარმოდგელია ზირითადად პროცენტულად, რაც ქვეყნების ერთმანეთთან შედარების საშუალებას გვაძლევს. შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორების მიხევით არის რამდენიმე ძირითადი საკითხი რასაც მეტი ყურადღება ექცევა, ეს არის :პირდაპირი უცხოური ინვესიტიცები, საერთაშორისო ვაჭრობა, ტექნოლოგიების წარმოება და მათი გავრცელება. გლბალიზაცია ჯერ კიდევ XIX სუკუნის შუა ხანებიდან თავისუფალი ვაჭრობის იდეის განხორციელებას ახდენს, რითაც უფროდა უფრო მეტი თავისუფლება ენიჭერბა ბაზარს. დროთა განმავლობაში ეკონომიკური გლობალიზაცია უფრო და უფრო დამოიუკიდებელი გახდა. სასაქონლო და შრომის ბაზრებთან შედარებით, ფინანსური ერთადერთი ბაზარია სადაც სწორად და სრულყოფილად წარიმართა გლობალიზაციის პროცესი. ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი წარმოადგენს გლობალურ ინდუსტრიულ პროცესს, რომლის დროსაც მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებით რეგულირდება ქვეყანაში შემოსავლების ზრდა და ასევე ხდება ქვეყნებში

სამრეწველო სტრუქტურების განახლება. ბოლო წლებში გავითარებული ქვეყნები უფრო მეტ ყურადღებას უთმობეს განათლებაში ეკონომიკის ზრდას.

გლობალური ეკონომიკური სისტემა ყალიბდება საერთაშორისო ეკონომიკური ურთეიერთობების საფუძველზე რომელიც შემდეგ მართავს ეკონომიკურ საქმიანობებს. ეკონომიკური გლობალიზაცია არის ეკონომონიკური თვასაზრისით მსოფლიო მასშტაბით ურთიერთობის ზრდის პროცესი. გლობალური ეკონომიკა თავის ხმრივ არის ერთიანი ეკონომიკური სისტემა, რომელშიც შედიან ერთმანეთთან კომპლექსურად დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკური სისტემები. აღნიშნული დამოკიდებულება ცვლის მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირებას და წარმოშობს ერთიან გლობალურ ეკონომიკას, სადაც მხოლოდ ერთი სახელმწიფო არ წარმოდგენს მთავარ ფიგურას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებობა ეხმარება ეკონომიკებს შორის პირდაპირი და გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აძლევს საშუალებას ქვეყანას რომ გააუმჯობესოს მისი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარზე. გლობალიზაციის პროცესის მთავარ კომპონენტს წარმოადგენს საქონლით და მომსახურებით ვაჭრობა. [12]

ეკონომიკური გლობალიზაცია საკმაოდ რთული ტიპის პრობლემაა, რომელის



საფუძველსაც წარმოების ზრდა წარმოადგენს. მისი მიზანი ქვეყნებს შორის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება, საწარმოო პროცესების გამყარება და წარმოებული პროდუქციის რეალიზება წარმოადგენს. წარმოების ინტერნაციონალიზაცია თავის მხრივ იწვევს ერთიანი ეროვნული კაპიტალის ერთმანეთთა დაკავშირებას, რომელიც შემდეგ ეროვნულ კომპანიებში გამოვლინდება, სადაც არსებული კომპანიები უმსხვილეს კომპანიებად გარდაიქმნება. გლობალიზაციის ტერმინს ძირითადად წარმოებაში და კონკურენციაში გამოიყენებენ. ჰარვარდის ბზნესის სკოლის პროფესორი **თეოდორ ლევინის** თქმით მსოფლიოში არსებულ ქვეყნებში მიუხედავად მათი განსხვავებებისა მსოფლიო მასშტაბის წარმოება ამტკიცებს, რომ მიუხედავად მათი კულტურული სხვაობებისა ისინი მაინც ემსგავსებიან ერთმანეთს დროთა

[12] ინოვაციური ეკონომიკა: განვითარების პრობლემები და პერსპექტივები -ნინო სამჭკუაშვილი
II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია შრომის კრებული 2017

განმავლობაში.იგი წერს:“ძლიერი ძალები მიმსართავენ მსოფლიოს კონვერგენციული საზოგადოებისკენ და ეს ძალა არის ტექნოლოგია. მან მოახდინდა კომუნიკაციის, ტრანსპორტისა და მგზავრობის პროლეტარიზება. მან იზოლირებულ ადგილებსა და ხალხს სურვილი აღუძრა თანამედროვეობის მიმზიდველობისკენ. თითქმის ყველას სურს ყველა ის ნივთი, რის შესახებაც გაუგონიათ, უნახავთ ან განუცდიათ ახალი ტექნოლოგიების მიშვეობით. ამის შედეგია ახალი კომერციული რეალობა- გლობალური ბაზრების წაემოშობა სტანდარტიზებული სამომხმარებლო პროდუქტებისათვის წინთ წარმოუდგენელი მასშტაბით. კორპორაციები ჩაებღაუჭენ ამ ახალი რეალობის სარგებელს, რაც მიღება უზარმაზარი მასთაბის ეკონომიიდან წარმოებაში, დისტრიბუვიაში, [13]მარკეტინგსა და მენეჯმენტში. ამ სარგებლის შემცირებულ მსოფლიო ფასებში გარდაქმნით,მათ შეუძლიათ მასიურად გაანადგურონ კონკურენტები, რომლებიც ჯერ კიდევ ცხოვრობენ ძველი წარმოდგენებით იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს მსოფლიო“.



ეკონომიკური გლობალიზაციის განმარტებაში ვაჭრობისა და კაპიტალის ტრანსნაციონალური ზრდა იგულისხმება. გლობალურ ეკონომიკაში ძირითადად ვგულისხმობთ ვაჭრობის პროცესს, პროდუქტის ან მომსახურების ყიდვა-გაყიდვის პროცესს, რეალურად კი უფრო დიდი მოძრაობას კაპიტალდაბანდებას და ინვესტიციების მოზიდვას გულისხმობს. მაგალითად 2019 წლის მონაცემების მიხედვით ყველაზე პირდაპირი ინვესტიციებით გამოირჩევიან ქვეყნები:

[13] https://ged-project.de/research/studies/globalization-report-2018-who-benefits-most-from-globalization/?cn-reloaded=1

დღესდღეისობით უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა, ყოველწლიურად ერთ ტრილიონ დოლარს შეადგენს. უმეტესი თანხის დაბანდება ხდბეა პირდაპირ ინვესტიციებში მაგალითად ქარხნების შეძენით. მსოფლიო რა თქმა უნდა ყოველთვის ცნობილია საერთაშორისო ვაჭრობის პროცესებით, მაგრამ საკითხავი ის არის როგორ მოდიან თანამედროვე ეკონომიკურ გლობალიზაციაში პატარა და სუსტი ქვეყნები.

დღევანდელი ეკონომიკური გლობალიზაციის მოდელი 1980-იანი წლების დასაწყისიდან მომდინარეიბს.მესამე მსოფლიო სავალო კრიზისის დასაწყისში, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერისა და ამერიკის პრეზიდენტის რონალდ რეიგანის ადმინისტრაციული ერთეულებიდან. ღარიბი ქვეყნები აღმოჩნდენ ეკონომიკურ ქარიშხალში და აღარ შეეძლოთ თავიანთი საგარეო სესხების გადახდა. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები როგორიცაა მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ინსტიტუტი,ასეთ ქვეყნებისთვის კომერციული ბანკების მხრიდან დაბალ საპროცენტო განაკვეთებს ითხოვდნენ. ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარების სანაცვლოდ, აღნიშნული ქვეყნები ეკონომიკის სტრუქტურულ ცვლილებებს ითხოვდნენ. ეს მოთხოვნები კი დიდწილად ეკონომიკას აწარმოებს. ათწლეულების დასასრულს აღნიშნული მოთხოვნები ფომარული გახდა. 1989 წელს ეკონომისტმა ჯონ უილიამსონმა გამოაქვეყნა სტატია ვაშინგტონში, სადაც მსოფლიო ბაკისა და აშშს მთავროის მიერ დაფუძნებულ სხვადასხვა ეკონომიკური ინსტიტუტების შეთანხმების პოლიტიკის კონსესუსზე იყო საუბარი.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესები გლობალურ სამყაროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ეკონომიკური გლობალიზაცია საგარეო ვაჭრობაში ჩართულობით ქვეყანას ეხმარება საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებასა და მის გამყარებაში. ეკონომომიკური გლობალიზაცია

ხელს უწყობს, როგორც ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას ასევე მსოფლიო ეკონომიკურ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას და მათ გაფართოებას საერთაშორისო ბაზარზე. უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური გლობალიზაციის მიზანი ქვეყანაში არსებული წარმოების გაზრდა და ინვესტიციების გაფართოება წარმოადგენს.ეკონომიკური გლობალიზაცია საკმაოდ მნიშვნელოვან პროცესს წარმოადგენს, რადგან მისი განვითარების დროს ხდება მაქსიმალური რესურსის გამოყენება წარმოების დროს, იზრდება ბაზარი და შესაბამისად კონკურენციის ჩამოყალიბება.თანამედროვე მსოფლიოში უფრო და უფრო დიდ ადგილს იკავებს უცხოური წარმოების პროდუქცია, რაც დასტურია იმის რომ ეკონომიკური გლობალიზაცია ეტაპობრივად უფრო მეტად ვითარდება.

2.გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევები

2.1 გლობალიზაცია განვითარებულ ქვეყნებში

დღესდღეობით უნდა აღინიშნოს რომ გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი თანმდევი პროცესია, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკის შინაარსს. იგი საკმაოდ მოქმედებს თანამედროვე საზოგადოების არამხოლოდ ცხოვრებისეულ პროცსებზე, არამედ იგი ეკონომიკის ღრმა სტრუქტურულ ცვლილებებზეც დიდ გავლენას ახდენს. სწორედ ამიტომ არის რომ დროთა განმავლობაში, ქვეყანაში არსებული პროცესების მნიშვნელობა იცვლება, მაგალითად, 1820 წლის მონაცემებით თუ აშშ-ს მომუშავეთა 70% დასქმებული იყო აგრარულ ბიზნესში,დროთა განმავლობაში ეს მონაცემები მნიშვნელოვნად შეიცვალა და აგრარულ სექტორში მხოლოდ მომუშავეთა საკმაოდ მცირე ნაწილი იყო დასაქამებული. არასაკმარისად განვითარებული ეკონომიკისთვის გამოიყენებენ სხვადასხვა მიდგომებს, მათშორის აღსანიშნავია, სამრეწველო განვითარება და იმპორტი, სოფლის მეურნეობის

სახელმწიფო მხარდაჭერა, ექსპორტის გაზრდა და ა.შ. ახალინდუსტრიულ ქვეყნებში, შედარებით განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით საზოგადოების უმეტესი ნაწილი დასაქმებულია აგრარულ სექტორში.

გლობალიზაციის პროცესში პრობლემად თავს იჩენს სახელმწიფოთა ეკონომიკური სუვერენიტეტის თავსებადობა, რომელიც დაკავშირებულია დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან.

რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, ინდუსტრიალიზაციის დონე დაბალია და სწორედ ამიტომ წლების განმავლობაში, ეკონომიკურ ლიტერატურაში იყო საუბარი იმის შესახებ რომ, ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ძირითად სტრატეგიას წარმოადგენდა განვითარებისკენ სწრაფვა. დროთა განმავლობასი თითოეულმა ქვეყანამ გაიაზრა, რომ უნდა დესახათ მიზანი და მიეღწიათი გარკვეული საფეხურისთვის. ქვეყნები, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ექსპორტის განვითარებას დაუთმეს, საკმაოდ ნორმალრი შედეგიც მიიღეს, თუმცა ქვეყნების საკმოდ დიდმა რაოდენობამ არცთუ ისე კარგი შედეგი მიიღო, ამ ყველაფერს კი სხვადასხვა გამომწვევი მიზეზები გააჩნდა, მაგალითად ის რომ ადგილობრივმა მრეწველობამ ნაკლებადკვალიფიციური კადრის ან ნაკლებად განვითარებული ტექნოლოგიის გამო ვერ შეძლო კონკურენცია გაეწია იმპორტისადმი, შიდაბაზრის დაბალი მოთხოვნის გამო ვერ მოახერხეს რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა და რა თქმა უნდა ინვესტიციებთან დაკავშირებული სირთულეები.

აღნიშნული მიზეზების გამო მოხდა, რომ ქვეყნების გარკვეულმა ნაწილმა ვერ შეძლო საგადასახადო ბალანსის გაუმჯობესება და შესაბამისად იმპორტის სტრუქტურაც შეიცვალა. აღნიშნული განვითარებად ქვეყნების დამოიკიდებლობა შესაბამისად დროთაგანმავლობასი კიდევ უფრო შეიზღუდა და შიდაეკონომიკური მდგომარეობაც შესაბამისად გაუარესდა. დროთაგანმავლობაში, განვითარებადმა ქვეყნებმა შეცვალეს სტრატეგია და უფრო მეტ ყურადღება სოფლის მეურნეობას აქცევდნენ, რომელიც დღესდღეობითაც აღიარებულია განვითარებული ქვეყნების დომინირებულ სექტორად.

გლობალიზაციის პროცესებზე ყველაზე დიდ გავლენას განვითარებული ქვეყნები ახდენენ იმის გამო რომ ისინი ფლობენ დიდი რაოდენობით და მაღალი ხარისხის წარმოების ფაქტორებს, მათ აქვთ საშუალება აწარმოონ მაღალი ხარისხის მქონდე დიდი რაოდენობის პროდუქცია. ეს ყველაფერი კი იქიდან გამომდინარეობს, რომ განვითარებული ქვეყნები იყენებენ იაფ და მაღალი კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალას. ცდილობენ რომ ქვეყნიდან გაიტანონ ძველი ტექნიკა და რაც მტავარია ხშირ შემთხვევაში ქვეყნიდან გააქვთ დაბალი ხარისხის პროდუქტი. დიდი ალბათობაა იმისა რომ მსოფლიო ეკონომიკის მდგომარეობა არ შეესაბამებიდეს კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკას, ეს კი ქვეყნის გლობალიზაციის პროცესებში ჩართულობის მაჩვენებელია.მაგალითისთვის თუ განვიხილავთ უმუშევრობის პრობლემას განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება. უმუშევრობის დონე ბევრად უფრო დაბალია განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა გლობალიზაცია მაინც ახდენს თავისმხრივ გარკვეულ გავლენას. განვითარებულ

ქვეყნებში უმუშევრობის ზრდასთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე მოსაზრება, პირველი ეს არის არსებული წარმოების საზღვარგარეთ გატანა იაფი მუშახელისა და ბუნებრივი რესურსის გამო. მეორე რაც შეეხება მეორეს, ეს არის განვითარებული ტექნოლოგიების დანერგვა, რომელიც ნაკელები სამუშაო ძალის ჩართულობას მოითხოვს. აღნიშნული პროცესების დროს რთული ხდება დაბალი დონის მუშახელის დასაქამება, რადგან როგორც აღვნიშნე პირველრიგში მათ მიერ შესასრულებელი სამუშაო გადის საზღვრებს გარეთ. იმისთვის რომ განვითარებულ ქვეყანაში არ მოხდეს უმუშევრობის დონის ზრდა, აუცილებელია შეიქმნას ახალი ინოვაციური სამუშაო ადგილები, რომელიც მიმართული იქნება თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენელზე.

ბევრი ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის უთანასწორობა არსებობს, მაგრამ რეალურად ეკონომიკური სარგებელო თანაბრად ნაწილდება, რადგან ჩატარებული კვლევების თანახმად მხოლოდ რამდენიმე ქვეყანამ აჩვენა უთანასწორობის შედეგი ერთ-ერთ ქვეყანას წარმოადგენა გლობალიზებული ქვეყანა ჩინეთი, რომელმაც ეს შედეგი თავისი შიდა ლიბერალიზაციის და აგრარული პოლიტიკის საფუძველზე აჩვენა და არა საგარეო ვაჭრობის ხარჯზე. სტატისტიკური კვლევების საფიძველზე ირკვევა რომ გლობალიზაციას ბევრად უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია მცირე ეკონომიკის მქონდე განვითარებადი ქვეყნებისთვის ვიდრე განვითარებული ქვეყნებისთვის. გლობალიზაციას დიდი გავლენა აქვს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე, აქედან გამომდინარე ყველა ის ქვეყანა რომელსაც აქვს გარკვეული პრობლემები ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით მაქსიმალურად უნდა ჩაერთოს გლობალიზაციის პროცესში. გლობალიზაციის ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს ქვეყნის შესაძლებლობების წარმოდგენაში სხვა ქვეყანებთან შედარებით. განვითარებული ქვეყნების მშპს ზრდაზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს საზღვარგარეთული საკუთრებები. გლობალური კავშირები ზრდის ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს, რაც ხელს უწყობს შემდეგ ერთი ქვეყნიდან გლობალურ ბაზარზე კრიზისის ზრდას. მაგალითად აშშს ეკონომიკურმა კრიზისმა პირდაპირი გავლენა იქონია გლობალურ ბაზარზე და შესაბამიდან მისმა ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია საერთაშორისო ვაჭრობის და უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი შემცირება.

სტატისტიკურ მონაცემებში იკვეთება, რომ ფინანსური კრიზისის შედეგემბა საგრძნობლად იმოქმედა თითოეულ ქვეყანაზე და მშპს რაოდენობა საგრძნობლად შეუმცირა.მშპს რაოდენობა შემცირდა თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში გარდა ჩინეთის, პოლონეთის და სამხრეთ კორეისა. საგრძნობლად იმოქმედა რუსეთზე, თურქეთსა და უნგრეთზე. რაც შეეხება იაპონია, იტალია, გერმანიას და დიდ ბრიტანეთს საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა ფინანსურმა კრიზისმა.

2010 წლის მონაცემების დაყრდნობით ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში. რუსეთსა და საბერძნეთს საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა დაუფქისირდათ. [ბიზნესის როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში; ნატო ჩადუნელი]

ამის შემდეგ განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის პროცესის პარალელურად მსოფლიო მასშტაბით ხორციელდება ეკონომიკური ინვესტიციების ზრდის პროცესი, რის საფუძველზეც შეგვიძლია თამამდ დავასკვნათ, რომ გლობალიზაციის პროცესის განვითარებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას და ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევას და არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გლობალიზაცია ხელ უწყობს ეკონომიკური კრიზისის ჩამოყალიბებას.

XIX საუკუნის ბოლოსთვის საერთაშორისო ვაჭრობა საკმოად მკვეთრად გაფართოვდა, ექსპორტის წილი გაიზარდა, საერთაშორისო კაპიტალმაც საკმაოდ დიდი გავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში. 1990-2011 წლის მონაცემების მიხედვით განვითარებულმა ქვეყნებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური რყევები განიცადეს, რის საფუძველზეც განვითარებული ქვეყნების ორგანიზაციაში ინვესტიციების ნაკადი დაახლოებით 53% ით შემცირდა, ხოლო რაც შეეხება რეგიონიდან გასულ უცხოური ინვესტიციების ნაკადებს 52%ით შემცირდა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ეს ფაქტი უკვე მეორე მკვეთრი ეკონომიკური ვარდნის პროცესს წარმოადგენდა.

გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციების გასაანალიზებლად გამოიყენება ექსპორტიდა და იმპორტის მაჩვენებელი მშსთან მიმართებაში, რის საფუძველზეც იზომება ქვეყნის ინტეგრირებულობა მსოფლიო ეკონომიკაში. განვითარებული ქვეყნების ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით მასში არსებული 34 ქვეყნიდან 26 ქვეყანაში ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზარდა.

აღნიშნულ პერიოდში საერთაშორისო ვაჭრობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა მშპსთან მიმართებაში, განვითრებული ქვეყნების ორგანიზაციის 6 წევრიდან 4 ქვეყანაში განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა, მათ შორის იყო ინდოეთი და ჩინეთი, რომელთა მაჩვენებელმაც საგრძნობლად გადააჭრბა განვითარებული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს.

განვითარებული ქვეყნები როგორც წესი არიან უცხოური ინვესტიციების კაპიტალის ექსპორტიორები, აღნიშნული ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან გაუსლი ნაკადები ბევრად აღემატება შემოსულ ნაკადებს. განსხვავება გასულ და შემოსულ ინვესტიციებს შორის გვიჩვენებს ქვეყანა ექსპორტიორი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება თუ იმპორტიორების.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითად მოტივაციას წარმოადგენს გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარება ინვესტორსა და ინვესტიციების საწარმოს შორის. პირდაპირი უცხოური საინვესტიციო პოზიციის პროცენტული მაჩვენებელი მშპსთან მიმართებით შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ შედარებითი ანლიზი პირდაპირ ინვესტორსა და ინვესტირების საწარმოს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები მსოფლიო მასშტაბით კლების ტენდენციით ხასიათდება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პოზიცია იზრდება. რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, როგორც პირდაპირი ინვესტიციების

მიმღებ ქვეყნებს შორის საინვესტიციო პოზიციის მიხედვით აშშ არის მსოფლიოს ყველაზე მსხვილი ინვესტორი ქვეყანა. მიუხედავად ამისა, აშშ- ში შემოსული უცხოური ინვესტიციები შეადგენს მისი მშპს 12%ს.

აშშ ს მაგალითზე რომ განვიიხილოთ ბოლო პერიოდში საკმაოდ აქტიური და მაღალი ეკონომიკური აქტივობები ფიქსირდება, თუმცა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით აშშ-ს ეკონომიკური ზრდა 2018 წლის მონაცემებით 2.9%ით განისაზღვრა, ხოლო 2019 წლის პროგნოზი მიხედვით 2.5% ია, რაც მანამდე არსებულ პროგნოზებთან შედარებით საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი. 2018 წლის მონაცემების თანახმად იგი გამორჩეული იყო მზარდი და განვითარებადი ქვეყნებისთვის, თუმცა საერთაშორისო სავალუტო ფონდის იანვრის თვის შეფასებით ეკონომიკური ზრდა 2019 წელს 4.5 % იქნება, რაც გასულ წელთან შედარებით 0.2 % ით ნაკლები იქნება.

იმისათვის რომ მოხდეს ქვეყნის როლის განსაზღვრა სხვადასხვას სექტორის გლობალურ ბაზარზე აუცილებლად უნდა განისაზღვროს პირდპაირი უცხოური ინვესტიციები დარგების მიხედვით. განხილვის დროს იკვეთება ორი ძირითადი ფაქტორი, ეს არის მრეწველობა და მომსახურება. გაეროს მომსახურების კლასიფიკაციის დროს განისაზღვრება; სასტუმროები და რესტორნები, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი,სავალუტო ინსტიტუტები, დაზღვევა და სადაზღვეო მომსახურება და კიდევ სხვა მომსახურებები.

გასული 2 ათწლეულის განმავლობაში მრეწველობის სექტორში განვითრებული ქვეყნების მაჩვენებელი პირადაპირ უცხოურ ინვესტიცეიებში რამდენჯერმე გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ გასული და შემოსული ინვესტიციებიც თითქმის 6-6 ჯერ გაიზარდა მრეწველობის დარგებში ინვესტიციების რაოდენობის შემცირება მაინც იგრძნობოდა განვითარებულ ქვეყნებში. მრეწველობის დარგებში განხორციელბული ხვედრითი წონა დაახლოებით 40% მდე შემცირდა.

რაც შეეხება მომსახურების სფეროს მისი ხვედრითი წონა აშკარა გახდა რომ საგრძნობლად გაიზარდა. საერთაშორისო ინვესტიციების ზრდის პარალელურად გაიზარდა მომსახურების სფეროში უცხოური ინვესტიციების რაოდენობის რეკორდული ზრდა, ეს მოხდა როგორც შემოსულ ისე აუსლ ინვესტიციებში. [14]

განვითარებულ ქვეყნებში მრეწველობის ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად მცირეა თუ მას მომსახურების სექტორს შევადარებთ. ერთადერთი ქვეყანა არმოჩნდა კორეა სადაც გასულ ინვესტიციებში მრეწველობის სექტორის ხვედრითი წონა 59% ს აღემატება, მაშინ როცა დარჩენილ ქვეყნებში ვერცერთმა ქვეყანამ ვერ მიაღწია 59%იან ზღვარზე. რაც შეეხება მომსახურების სფეროს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში მისი ხვედრითი წილი 80% ით განისაზღვრებოდა. საფრანგეში, საბერძნეთსა და პორტუგალიაში, მრეწველობის სექტორში 3%ს მიაღწია, ხოლო რაც შეეხება მომსახურების სფეროს, მაქსიმალური მაჩვენებლით 95% მდე მიაღწიეს. კიდევ უფრო მეტი სხვაობა ფიქსირდება,

[14] https://medium.com/@BonillaXM/the-effects-of-globalization-on-developing-countries-1e465257c400
https://www.investopedia.com/articles/economics/10/globalization-developed-countries.asp

როცა საქმე მრეწველობაში არსებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა მომსახურების ხვედრით წონას ეხება. შემოსული ინვესტიციების მიხედვით მრეწველობის მაქსიმალური მაჩვენებელი 56% ია, მაშინ როცა მომსახურების სფეროს იგივე მაჩვენებელი დაახლოებით 80% მდე ადის. ვფირობ, თამამად შეგვიძლია გავაკეთოთ დასვნა, რომ თანამედროვე ყოფაში, მომსახურების სფეროს ბევრად უფრო დიდი როლი უკავია ინვესტიციების გლობალიზაციაში და რა თქმა უნდა მისი როლი კიდევ უფრო მეტად იზრდება.

2.2 გლობალიზაცია განვითარებად ქვეყნებში

როგორც უკვე აღვნიშნეთ გლობალიზაციის პროცესში ქვეყნები იყოფია განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებად . გლობალიზაციის პროცესი ეხმარება თითოეულ ქვეყანას განვითარებაში, აქედან გამომდინარე გლობალიზაციის პროცესში წაგებულად ითვლება ის ქვეყანა, რომელიც ვერ გამოიყენებს თავის შესაძლებლობებს გლობალიზაციის პროცესში იმისთვის რომ განვითარების ეტაპები წარმატებით გაიაროს.აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ გლობალურ ღირებულებატ ჯაჭვში საგრძნობლად იზრდება განვითარებადი ქვეყნების რაოდენოდა, როგორც სხვადასხვა ახალი, ინოვაციური პროდუქციის მწარმოებლები. განვითარებად და გარდამვალ ქვეყნებს, საკმაოდ დიდი შრომა უწევთ იმისთვის რომ გაიარეონ გარკვეული ეტაპები და გაზარდონ ხელმისაწვდომობა საერთაშორისო კომპანიებთან და ბრენდებთა, აქედან გამომდინარე მათი როლი დასაქმებასა და გაყიდვების სფეროში საკმაოდ იზრდება.

გლობალიზაცია საზოგადოებას და ბიზნესს ერთმანეთთან, იდეების და კულტურის საერთაშორისო გაცვლის გზით აერთიანებს, თუმცა ზოგიერთი კრიტიკოსი მიიჩვენს, რომის უარყოფითად მოქმედებს განვითარებულ ქვეყნებზე.ზოგიერთი პოლიტიკოსი გლობალიზაციის ძალას ქვეყნის შიგნით მაქსიმალურად იენებს, რის საფუძველზეც იღებენ სამუშაო ადგილების დიდ რაოდენობას.

ეკონომიკური თვალსაზრისით, გლობალიზაცია განისაზღვრება როგორც საქონლის, მომსახურების,კაპიტალისა და ტექნოლოგიის გლობალური ვაჭრობის ზრდა. ვაჭრობის ეს ზრდა განსაკუთრ

ებულად მწვავეა განვითარებულ ქვეყნებს შორის, როგორიცაა შეერთებული შტატები, განვითარებადი ქვეყნები ჩინეთის მსგავსად.გლობალური ვაჭრობის ზრდის მრავალი ფაქტორი არსებობს. ტრანსპორტის ხარჯი ამცირებს ვაჭრობის ხარჯებს, ტექნოლოგიები ამცირებს ბარიერებს ვაჭრობის დროს, და ამ ყველაფერს კი ლიბერალური ეკონომიკა უწყობს ხელს. ხარჯების შემცირება, პირდაპირ უწყობს ხელს ვაჭრობის დაჩქარებას. აუცილებელია ეკონომიკა და სურვილი, რომ ორივე იმპორტიორიც და ექსპორტიორიც იყოს დაინტერესებული მოხმარების გაზრდით.

გლობალიზაციის ძირითადი სარგებელი გამოიხატება ქვეყნის უპირატესობის მოპოვებაში, რომლის საფუძველზეც იგი სხვა ქვეყნებთან შედარები უფრო მეტი რაოდენობის

საქონელს ან მომსახურებას წარმოადგენს. გლობალიზაციის თეორიის თნახმად, ორ ქვეყანას შეუძლია აწარმოონ ორი პროდუქტი სხვადასხვა დანახარჯებით, ექსპორტის ბაზარზე გასვლას კი შედარებით უპირატესი შეძლებს.მაგალითან განვითარებად ქვეყანას შესაძლოა უპირატესობა ცემენტის წარმოებაში ქონდეს, აშშს კი ნახებარგამტარების წარმოებაში.გლობალიზაციის პროცესი იძლევა შესაძლებლობას შეამციროს პროდუქტის ოხმარების არასტაბილურობა, რაც უფრო მარტივს ხდის იმპორტ-ექსპორტის წარმოებას.

1980-იანი წლებიდან ფინანსური გლობალიზაციის საკმაოდ დიდი ტალღა აღინიშნება კაპიტალდაბანდებაში, მრეწველობის განვითარებაში, განსაკუთრებით კი საწარმოო ქვეყნებსა და განვითარებად ქვეყნებში. მანამ სანამ განვითარებად ქვეყნებში მიმდინარეობდა კაპიტალდაბანდების პროცესების განვითარება, პარალელურად ბევრმა ქვეყანამ განიცადა ფინანსური კრიზისი, რომლთაც მაკროეკონომიკური და სოციალური ხარჯების გათვალისწინებით საკმაოდ დიდი ზიანი მიადგათ. აქედან გამომდინარე, წარმოიშვა გარკვეული დებატები ეკონომოკის განვითარებასა და ფინანსურ ინტეგრაციაზე.

შეუძლებელია ისეთი განვითარებადი ქვეყნების მოძიება,რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში, შეძლებენ განვითარდგნენ სავაჭრო პოლიტიკის გახსნის გარეშე. გლობალიზაცია, განვითარებად ქვეყნებში ვერ ახერხებს სიღარიბის დონის შემცირებას, იგი უბრალოდ ერთ დონეზე აჩერებს მას, რაც უფრო ცუდია ვიდრე ცუდი მმართველობა ან არაეფექტური ეკონომიკური რეფორმების გატარება. სიღარიბის მაჩვენებლის ზრდის მაჩვენებელი გლობალიზაციის პროცესსში განვითარებულ ქვეყნებშიც კი შეინიშნება. არ არის ყოველთვის მარტივი,რომ განვითარებადმა ქვეყანამ მთლიანი რესურსის გამოიყენოს, ეს კი იმიტომ ხდება რომ გლობალიზაციას მასშტაბური გავლენა აქვს სხვადასხვა სფეროებზე როგორიცაა ტექნოლოგიები, მაკროეკონომიკური პროცესები.

შევეცდები დეტალურად განვიხილო განვითარებადი ქვეყნების გლობალიზაციის და უთანასწორობის პროცესები. გლობალიზაციის პროცესი განვითარებად ქვეყნებში დიდი რისკის ქვეშ მიმდინარეობს.გლობალური პროცესების განვითარების დროს დიდია ალბათობა რომ ჩამოყალიბდეს შემოსავლების უთანასწორობა. მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოლო 25 წლის განმალობაში საგრძნობლად შეიმჩნება შემოსავლების უთანასწორობის ზრდა, რაც გამოწვეული იყო შიდა სამეუქნეო საქმიანობის შემცირებით. განვითარებად ქვეყნებში რა თქმა უნდა კიდევ უფრო დიდია რისკი გლობალურ ეკონომიკაში მონაწილეობის დროს უთანასწორობის რისკი, მითუმეტეს კი მაშინ როცა ქვეყანას სხვა სისუსტეები გააჩნია, ეს ყველაფერი კი პირდაპირ კავშირშია სიღარიბესთან. მაგალითის სახით განვიხილოთ ლათინური ამერიკა,რომელიც დიდი უთანსწორობის ისტორიული მემკვიდრეა.მაგალითად, მაღალი დისკრიმინაციის პოლიტიკასთან ერთად უთანასწორობა ლათინურ ამერიკაში გამოწვეული იყო არაეფექტური და პოპულიზმის პერიოდული ქცევით, რომელიც მიმართული იყო უთანასწორობის სამართავად.

განვიხილოთ, თუ რამდენად არის კავშირში გლობალიზაციასთან საბაზრო რეფორმები და რამდენად ახდენს ის გავნელადნ განვითარებად ქვეყნებში არსებულ უთანასწორობაზე. პირველ რიგსი განვიხილოთ, სავაჭრო ლიბერალიზაცია, რომელიც უფრო კონკურენტულია და შესაბამისად შემოსავლების შემცირებაც სავარაუდო მოვლენაა. ლათინურ ამერიკაში, იმპორტის ჩანაცვლება, უცხოურ ვალუტასთან ხელმისაწვდომობა, ერთ-ერთი მნიშვნელობანი ფაქტორი იყო კორუფციის შემცირების.სავაჭრო ლიბერალიზაციას ასევე აქვს საშუალება, აწარმოოს ახალი სამუშაო პროცესები სოფლის მეურნეობასა და წარმოებაში. რაც შეეხება ვაჭრობის ლიბერალიზაციას იგი გულისხმობს, იაფი იმპორტის შემცირებას, ხარჯების რეალურ შემცირებას.უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, ვაჭრობის ლიბერალიზაცია გაღრმავდება ხელფასების დარეგულირებით განათლების დრონის მიხედვით არამხლოდ განვითარებულ არამედ განვითარებად ქვეყნებშიც. გამონაკლისს წარმოადგენს კოსრა რიკა, სადაც განათლების დონე შედარებით მაღალია. როგორც ჩანს ბაზრის გლობალური განვითარება ტექნოლოგიური თვალსაზრისით ითვალისწინებს მოთხოვნის ზრდას ხელფასის და კვალიფიციურ შრომასთან შედარებით უფრო სწრაფად. ლათინურ ამერიკაში განათლების დონე ეტაპობრივად და ნელი ტემპით იზრდება.განათლების დონე ეტაპობრივად უმჯობესდება, თუმცა ჯერ კიდევ დიდი უთანასწორობაა.

ვაჭრობის ლიბერალიზაცია დამოკიდებულია უთანასწორობაზე, რამდენად შეესაბამება ქვეყნის შედარებით უპირატესი სამუშაოს, სოფლის მეურნეობის სამუშაო ექსპორტის წარმოებას.კოსტა რიკაში მაღალი განათლების დონით და მცირე რაოდენობის ყავის წარმოებით, შედეგების გათანაბრება ლიბერალიზაციას ევემდებარება. მთელი რეგიონისთვის, მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო ლიბერალიზაცია სვარაუდოდ გაზრდის საშუალო შემოსავლებს, სავარაუდოა რომ პარალელურად გაიზრდება უთანასწორობის დონეც, რადგან განათლების მისაღებად ძალისხმევა არ შემცირდება, რაც შეეხება რეგიონის უპირატესობას ძირითადად კაპიტალის ინტენსიური წარმოება წარმოადგენს.

ფინანსური ლიბერალიზაცია რომ განვიხილოთ, დაბალი და საშუალო ბიზნესის მომხმარებლები, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესი 1980იან წლებში ლათინურ ამერიკაში ყველაზე მეტად იყო რეპრესირებული საბანკო სისტემებით.საპროცენტო განაკვეთის კონტროლით შემცირდა კრედიტზე ხელმისაწვდომობა.ფინანსურ ლიბერალიზაციას შეუძლია დახმარება გაუწიოს მხოლოდ იმ ადამიანს ვისც აქვს აქტივები, რომელიც საშუალოვადიან პერსპექტივაში მაღალი კონცენტრაციით იზრდება. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ინფლაციის და დევალვაციის პროცესი ლათინურმა ამერიკამ შედარებით რთულად გადიტანა, ეს ყველაფერი მოქმედებდა მათ საზღვარგარეთ გადაადგილებაზე. მექსიკაში 1986-1996 წლებში აქტივები ინახებოდა შემნახველ ანგარიშებზე, რომლის დაახლოებით 50 პროცენტიც დაიკარგა.

ფინანსური კრიზისი ბოლო პეიროდში აისახება კაპიტალის მაღალი შემოდინების, ინფლაციური ზეწოლის, შრომის ინტენსიურობით, ფიქსირბეული გაცვლითი კურსის

რეჟიმების მიხედვით. აზიასა და ლათინურ ამერიკაში 1990-იანი წლების შუა რიცხვებში მაღალი კაპიტალის შემოდინების ფონზე გაიზარდა კოეფიციენტი როგორც პორტფელის შემოდინება და მაღალი დაკრედიტების მოთხოვნა მოკლევადიანი აქტივებისთვის. ლათინურმა ამერიკამ შეიმუშავა გეგმა, რომ მცირე მოვალეები დააზარალოს და მოახდინოს რეპრესიული გავლენა მათზე, ამ ყველაფერმა კი იმოქმედა ბრაზილიასა და მექსიკაზე.

განვითარებადი ქვეყნები განსაკუთრებულ რისკებს აწყდებიან იმით, რომ გლობალიზაცია და საბაზრო რეფორმები, რომლებიც ასახავს და აძლიერებენ თავიანთ ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში, გააუარესებენ უთანასწორობას, უარესდება დროთა განმავლობაში პოლიტიკური ხარჯების უთანასწორობა და სოციალური დაძაბულობა. რისკები დროთა განმავლბაში შესაბამისად უფრო მეტად იზრდება, რადგან მას უფრო კონკურენტუნარიანი,გამჭვირვალე და მარეგულირებელი ეკონომიკური სისტემები იყენებენ აქტივების უფრო ფართო გავრცელებით. გარდამავალ პერიოდში ყველაზე მეტი ყურადღება ეთმობა, უთანასწორობის მართვას და მინიმუმამდე შემცირებას. გლობალური ეკონომიკა და პოლიტიკა შეიძლება განვითარდეს ყველა ქვეყანაში, ყველა საზოგადოების ფენისთვის იმ შემთვებაში თუ ის არ შეწყვეთს განვითარების პროცესს განვითარებად ქვეყნებში.

გლობალიზაციამ ხელი შეუწყო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მზარდ ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც ქვეყნებს დაეხმარა სიღარიბის პრობლემის მოგვარებაში. განვითარებად ქვეყნებში გაიზარდა ჯანდაცვისა და განათლების როლი, რაზეც დიდი გავლენა ქონდა გლობალიზაციის პროცესებს. განათლების სფერომ წინა ფლანზე გადმოინაცვლა, რადგან გლობალიზაციის ეპოქაში შეიქმნა ისეთი სამუშაო ადგილები, რომლებიც განათლების მაღალ დონეს მოითხოვს.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ,რომ გლობალიზაციას საკმაოდ დიდი სარგებელი მოაქვს თავის დადებითი და უარყოფითი პროცესებით განვითარებად ქვეყნებში. გლობალიზაცია შეიძლება განიხილოს როგორც ინსტრუმენტი, რომელიც ქვეყანას ეხმარება განვითარებასა და წინსვლაში, დანარჩენი კი იმაზეა დამოკიდებული რამდენად კარგად გამოიყენებს სახელმწიფო ამ ინსტრუმენტს. გლობალიზაცია შეიძლება იყოს კარგი ისეთი ქვეყნისთვის, რომელიც დამოკიდებულია საკუთარ ქვეყანაზე და ქვეყანაში ინვესტიციების განვითარებაზე.

გლობალიზაციის პროცესი, განვითარებად ქვეყნებს კიდევ უფრო მეტად ეხმარება მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციაში, მა ყველაფრის გამომწვევი მიზეზი კი უცხოური ინვესტიციების ზრდ არის, საერთაშორისო კომპანიებიც კიდევ უფრო მეტ გავლენას ახდენენ განვითარებად ბაზარზე. უპირველეს ყოვლისა საინვესტიციო აქტივების ზრდა არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ეკონომიკის განვითარებაში. მისი გავლენით უფრო ეკონომიკური ზრდის ტემპი კიდევ უფრო იმატებს, აუთვისებელი და გამოუყენებელი რესურსების გამოყენებაც უფრო ხელსაყრელი ხდება. საინვესტიციო აქტივობების ზრდა

რამდნეიმე ფაქტორით არის გამოწვეული ეს არის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური გარემო.

გლობალიზაციის პროცესი მნიშვნელოვანი ეტაპია როგორც საქართველოსთვის ისე სხვა გარდამავალი ქვეყნის განვითარებისთვის. ამ პროცესის დროს ქვეყანა დგება ახალი გამოწვევების წინაშე, რომელსაც უნდა გაუმკლავდეს იმის გამო რომ ფეხი აუწყოს გლობალურ პროცესებს. რაც შეეხება საქართველოს მისთვის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია ევროპის ქვეყნებთან დაამყაროს უფრო მჭიდრო კავშირები. ძირითადი მიზანს საქართველოსთვის უნდა წარმოადგენდეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის გაუმჯობესება, სუსტი მხარეების გაძლიერება ისე, რომ ეს საზოგადოებისთვის შესამჩნევი არ იყოს. რაც შეეხება ბიზნეს გარემოს, გლობალიზაციის პროცესში უნდა ხდებოდეს მისი მარტივად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში პრევენციული ზომების გამოყენებაც.[15]



მოცემული სატატისტიკური მონაცემების მიხედვით ფიქსირდება რომ ეკონომიკური ზრდის ტენდენცია ვალებადია. 2013 წლის მონაცემებით 3.4%იანი ზრდა დაფიქსირდა, 2014 წლის მონაცემებით შედარებით გაიზარდა მაჩვენებელი და 4.6 % მიაღწია, თუმცა 2015 და 2016 წლებში საკმაოდ დიდი ვარდნა დაფიქსირდა. დღევანდელი მონაცემების მიხედვით ეკონომიკური ზრდის მაქსიმალური მაჩვენებელი 2017 წელს 4.8 % ით დაფიქსირდა. ამ ეტაპისთვის არსებული 2019 წლის მონაცემებით 4.9 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა არის დაფიქსირებული, რაც ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს დადებითად აფასებს.

ისეთი ქვეყანა როგორიც საქართველოა თავისი მდებარეობიდან გამომდინარე აქვს საშუალება ფეხი აუწყოს გლობალიზაციის პროცესებს, გაამყაროს საგარეო ურთიერთობები სხვა ქვეყნებთა, მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი რაოდენობა. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ბოლო წლებში უცხოური ინვესტიციების იმპორტიორები პირველ რიგში საშინაო ბაზრის სრული ათვისებით იყვნენ დაინტერესებულები, მეორე ადგილს ეფექტიანობის მაძიებელი ინვესტიციები იკავებს, ხოლო მესამე ადგილზე რესურსების მაძიებელი ინვესტიციები. უცხოური საკუთრების ზრდა საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს საქართველოზე, მისი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა დამოკიდებული უცხოური საკუთრების ზრდაზე, განსაკუთრებით კი მცირე ზომის ქვეყნებში.

[15] https://www.geostat.ge/ka

ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ 2016 წლის მონაცემების მიხედვით რეინვესტირებაში საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა რამაც 32% შეადგინა, 2017 წელს კი 43,9%. ამ მონაცემების მიხედვით კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და ბიზნეს გარემო დადებითად აღიქმება ინვესტორების მიერ შესაბამისად უცხოელი ინვესტორები აქტიურად აგრძელებენ ინვესტიციების დაბანდებას საქართველოში.

პირდაპირი ინვესტორების პირველ ათეულში პირველ ადგილს ჯერჯერობით ისევ აზრებაიჯანი იკავებს 19.5 %ით, მეორე ადგილზეა გაერთიანებული სამეფო 16.5%ით, ხოლო მესამე ადგილს ნიდერლანდები 13.6 %ით იკავებს. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ ევროკავშირისქვეყნებიდან მოხდა დაბანდებული ინვესტიციების რაოდენობის ზრდა და 40.5% დან 46.2%მდეა გაზრდილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვნად აღინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა. თუმცა 2018 წლის მონაცემებით წინა წელთან შედარებით შემცირდა ინვესტიციების რაოდენობა, რის მიზეზადაც სახელდება მაგისტრალური გზის მშენებლობის პროექტის დასრულების ფაზა, რამდენიმე საწარმოს საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში გადასვლა.2018 წლის მონაცემებით პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1,232 მლნ აშშ დოლარი შეადგინა რაც შედარებით ნაკლებია ვიდრე ბოლო წლებში განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობა.

საქართველოს ეკონომიკაზე საკმაოდ დიდი გავლენა აქვს საგარეო სექტორს, რომელიც ძირითად საექსპორტო შემოსავლებში, ფულად გზავნილებსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიცეიებში გამოიხატება. 2018 წლის მონაცემებით გლობალური ეკონომიკური ზრდა შედარებით 3.7% მდე შემცირდა, იმავე მონაცემების ანალიზის საფუძველზე ექსპერტები ვარაუდობენ რომ 2019 წლისთვის კიდევ უფრო 3.5% მდე შემცირდება. არსებული კვლევების საფუძველზე ვარაუდობენ რომ 2019 წლის ბოლოსთვის შედარებით დასტაბილურდება ეკონომიკური ზრდა, რასაც ხელს შეუწყობს სავაჭრო პოლიტიკის ახალ ფაზაში გადასვლა.

საქართველოს პარტნიორი ქვეყნებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი როლი თურქეთს უკავია, იგი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თურქეთში განვითარებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებზე. ბოლო მონაცემების მიხედვიტ თურქეთიდან საგრძნობლად შემცირდა სავაჭრო და სხვა ურთიერთობები. 2018 წლის აგვისტოში არსებულმა სავალუტო კრიზისმა დიდი გავლენა იქონია ეკონომიკური მდგომარეობის შემცირებაზე. [ასევე საგრძნობლად შეინიშნება ინვესტიციების შემცირებაც. წლიური ინფლაცია დეკემბერში შემცირდა, თუმცა მაინც საკმაოდ მაღალი - 20.3% - რჩება, რაც დაახლოებით 5 პროცენტული პუნქტით დაბალია სექტემბრის შესაბამის მაჩვენებელზე. მსოფლიო ბანკის პროგნოზით 7 , თურქეთში შენარჩუნდება საშუალოვადიან პერიოდში არსებული გამოწვევები, რის გამოც რეალური მშპ-ის ზრდა 2018 წელს 3.5%-ით, ხოლო

2019 წელს კი 1.6%-ით განისაზღვრა. რაც შეეხება ინფლაციას, იმავე პროგნოზით 8 , 2019 წელს წლიური ინფლაცია 15-16%-ის ფარგლებში იქნება.]

საკამაოდ დადებითი დინამიკა დაფიქსირდა უკრაინის ეკონომიკური ზრდის პროცესში. დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მეტად ვითარდება შრომის ბაზარი, იზრდება სამომხმარებლო დანახარჯები და ფულადი გზავნილები. ზრდის ტემპს სედარებით ხელს უშლის ექსპორტის შემცირებული მოცულობა, რაც რთული საგარეო ფაქტორების ბრალია. [მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, რთული გეოპოლიტიკური ვითარების გამო, მსოფლიო ბანკის შეფასება 2018 წლის უკრაინის რეალური მშპ-ს ზრდისთვის 3.5%, ხოლო 2019 წელს კი - 2.9%-ია. რაც შეეხება წლიურ ინფლაციას, ის დეკემბერში საკმაოდ მაღალი - 9.8% - იყო, ხოლო 2019 წლის პროგნოზი კი 7.3%-ია.]

რაც შეეხება სომხეთს მისი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2018 წლის მონაცემებით შემცირდა და 2.7 % შეადგინა. მიუხედავად ამისა არსებული მონეტარული პოლიტიკა და სტაბილური ფულადი გზავნილების არსებობა რუსეთიდან მაინც ასტაბილურებს მის მდგომარეობას. მსოფლიო ბანკის მოანაცემების მიხედვით მშპ-ს ზრდა 2018 წელს 5.3% იყო, ხოლო 2019 წლის მონაცემებით 4.3%, რაც შეეხება ინფლაციას მისი მაჩვენებელი 4 $-ის ფარგლებში იქნება მოქცეული. აზერბაიჯანის ეკონომიკა დროთა განამვლობაში განაგრძობს გაჯანსაღებას, რაც არასანავთობო სექტორის მაღალი აქტივობით არის გამოწვეული.[მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი დიდწილად დამოკიდებულია ნავთობის სექტორზე, რუსეთ-ოპეკის მიერ გამოშვების შეკვეცამ ნაწილობრივ დააბალანსა ნავთობის ფასების შემცირების ეფექტი. მსოფლიო ბანკის პროგნოზით, მშპ-ს წლიური ზრდა 2018 წელს 1.1%, ხოლო 2019 წელს - 3.6% იქნება. რაც შეეხება ინფლაციას, დეკემბერში წლიურმა ინფლაციამ 2.3% შეადგინა, ხოლო 2019 წელს პროგნოზი კი 3.3%-ია.][16]

ეკონომიკური ზრდის შენელება დროთა განმავლობაში ევროზონის წვეყნებში გამოწვეულია ექსპორტის ზრდის შენელებით. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით ევროზონის 2018 წლის რეალური მშპ-ს ზრდის პროგნოზი საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 1.8% მდე შეამცირა, ხოლო 2019 წლის ზრდის პროგნოზი კი დაახლობით 1.6%ია. 2018 წლის მეორე ნახევარში საკუთარი ვალუტების გაუფასურების გამო ცენტრალურმა ბანკებმა მონეტარული პოლიტიკა გაამკაცრეს, რაც საკამოდ მულოდნელი იყო საერთაშორისო ფინანსური ბაზრებისათვის. საკმაოდ გაზარდა საპროცენტო განაკვეთი ისეთმა განვითარებულმა ქვეყანამ როგორიც აშშ წრმოადგენს,რაც ინფლაციის მოლოდინით იყო განპირობებული.

[16] https://commersant.ge/ge/post/saqartvelos-erovnuli-bankis-globaluri-ekonomikis-mimoxilva?fbclid=IwAR0EpsLQ66iBBxmzNGW4Pl14nGl7RNFzkRq5BrMcLPBqwa90GpuNhHuBEZs



ეკონომიკური მიმზიდველობის ამაღლებისათვის საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა რეფორმები განახორციელა, როგორიცაა საბაჟო და ანტიკორუფციული რეფორმა, საგადასახადო კოდექსში შესული გარკვეული ცვლილებები. ეს ყველაფერი კი პირდაპი მოქმედება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, რაც ქვეყანას ხელს უწყობს გლობალურ პროცესებთან ინტეგრაციაში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა განვითარებად ქვეყანას, პირდაპირ ეხმარება მოწინავე ტექნოლოგიებისა და ბიზნეს პრაქტიკის განვითარებაში. ქვეყანაში განხორციელებული საინვესტიციო აქტივობა მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ, როგორც ეკონომიკური სექტორების, ქვეყნებისა და ინვესტიციების წილის მიხედვით. საქართველოს მაგალითზე, საქსტატის მონაცემების თანახმად, ინვესტორთა გადანაწილება მოხდა სამ სექტორზე, ერთ-ერთი იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება ტრანსპორტის დარგში, მეორე ადგილი საფინანსო სექტორმა დაიკავა. ცხრილში მოცემულია ინვესტიციების დაბანდების მაჩვენები წლების განმავლობაში :



აქვე შეგვიძლია განვიხილოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით და რა თქმა უნდა დარგობრივობის მიხედვით.[17][18]

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით	2015	2016	2017	2018
ავსტრია	18967.9583	27680.6734	7027.292	14494.1516
საფრანგეთი	22050.3809	-88365.6241	21106.6842	26312.7021
აზერბაიჯანი	581624.361	558458.6173	465040.7983	240007.0915
რუსეთი	51382.2785	35972.2061	43703.5913	60063.4255
უკრაინა	-27261.6689	11021.2049	5295.6623	18501.841
ჩინეთი	66950	25459.9537	40346.8578	65400.788
იაპონია	-34647.6992	5837.2869	18364.0259	5289.3336

გლობალიზაციის პროცესის ერთ-ერთი უარყოფითი მხარე განვითარებადი ქვეყნებისთვის სიღარიბის ზრდას გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული

[17] https://www.geostat.ge/ka

გლობალიზაციის გავლენა სიღარიბეზე რთულია რომ შეფასდეს სხვადასხვა კვლევის შედეგებმა მაინც დააფიქსირა გარკვეული ცვლილებები ცენტრალურ აზიაში, ლათინურ ამერიკაში. გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად ქვეყნებს შორის უთანასწორობაც შესაბამისად იცვლება. გლობალიზაციის პროცესში უფრო მეტად უნდა იყოს ჩართული ის ქვეყანა, რომელიც გარკვეული სირთულეების წინაშე დგება ეკონომიკური ზრდის პროცესში.

სოფლის მეურნეობა	**18591.3485**	**8354.7815**	**12386.7606**	**15939.5434**
მშენებლობა	**143550.962**	**168734.1448**	**283100.5951**	**103635.3729**
ენერგეტიკა	**123659.876**	**144953.9673**	**224126.131**	**157151.210**
სასტუმროები და რესტორნები	**141370.172**	**56115.4396**	**72238.6999**	**72322.5038**

3.ეკონომიკური გლობალიზაციის მოსალოდნელი შედეგები

3.1 გლობალიზაცია და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები

ეკონომიკური გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც დაფუძნებულია მომსახურების და კაპიტალის გამოყენების თავისუფლებაზე. გლობალიზაცია აძლეს კომპანიებს საშუალებას აწარმოონ საკუთარი პროდუქცია, საწარმო პროცესები აწარმოონ ისეთ ადგილებში სადაც საწარმოო დანახარჯი ნაკლები ექნებათ. არსებობს მოსაზრება, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ყველაზე მთავარი ეტაპი თავისუფალი ბაზრის ქონაა, რომელიც სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად მუშაობს. თუმცა დროთა განმავლობასი, ნათლად გამოჩნდა ის ფაქტი, რომ საკმაოდ დიდი როლი აქვს სახლემწიფოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში და მხოლოდ თავისუფალი ბაზრით ვერაფერ მნიშვნელოვან შედეგს ვერ მივიღებთ. დროთა განმავლობაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, რომლის საფუძველზეც ბაზრის რეგულაციები შეიცვალა სახელმწიგო რეგულაციებით, კერძო სექტორის ბანკები ჩაანაცვლა სახელმწიფო ბანკებმა და შესაბამისად ქვეყნბს შორის ურთიერთობაც ბევრად უფრო მარტივად მყარდებოდა, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური წესრიგის საფუძველზე. თუმცა დროთა განმავლობაში თავისუფალი ვაჭრობა გადიოდა განვიტარების სხვადასხვა ეტაპებს, შედარებით გაძლიერდა და თავისი

კანონები მოახვია პოლიტიკურ ძალას. უფრო და უფრო გამოკვეთილი სახე მიიღო ეკონომიკურმა გლობალიზაციამ. დღესდღეობით საერთაშორისო ეკონომიკური ზრდის ტემპი საგრძნობლად აღემატება შიდაეკონომიკური ზრდის ტემპს.

გლობალიზაციის პროცესის მიმდინარეობის დროს ჩნდება კითხვა არის თუ არა გლობალიზაცია კარგი თითოეული ქვეყნისთვის.ამ კითხვაზე პასუხი საკმაოდ მარტივია, მას ფუნდამეტალური როლი აკისრია ქვეყანაში არსებული კულტურის, საზოგადოების, ეკონომიკის განვითარებაში.

ეკონომიკის სფეროში გლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკის მზარდ ურთიერთდამოკიდებულებას სასაქონლო და მომსახურების სასაზღვრო ვაჭრობაზეა მიმართული,ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას საერთაშორისო კაპიტალის გაზრდით და ტექნოლოგიების გავრცელებით ახერხებს. საერთაშორისო ეკონომიკის უცვლელ ტენდენციას წარმოადგენს ეკონომიკური განვითარება, ეკონომიკისთვის კი გლობალიზაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი მსოფლიო მასშტაბით წინსვლაში.

გლობალიზაციამ შეიმუშავა ფართო საერთაშორისო ეკონომიკა, ბაზრების ინტეგრაცია და მსოფლიოში საინვესტიციო კაპიტალის შემოდინება. წლების განმავლობაში გლობალიზაციის მნივნელოვან ნაწილს წარმოადგენს ეკონომიკა. ტექნოლოგიაში გაუმჯობესება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სატრანსპორტო, საკომუნიკაციო და სასაქონლო ხარჯების შემცირებით, ასევე ამცირებს მონაცემთა დამუშავებისა და ინფორმაციის შენახვის ფასს.გლობალიზაცია ხდის სავაჭრო ან ეკონომიკურ ლიბერალიზაციას ხელმისაწვდომს რამაც გახადა მსოფლიო ეკონომიკური სისტემა უფრო ლიბერალური. [19]

როგორც უკვე აღვნიშნე, გლობალიზაციის დროს ქვეყანამ შეიძლება მარტივად გადალახოს სხვადასხვა ეტაპები, მაგრამ შესაძლებელია გარკვეულ სირთულეებსაც წააწყდეს პროცესის მიმდინარეობის დროს. მაგალითად რომ განვიხილოთ ეკონომიკური კრიზისის მდგომარეობა პირველ რიგში უნდა ვისაუბროთ მთავარ საკითხებზე რაც ხდება ძირითადი მიზეზი კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩენისა. საწყისი ეტაპი ეკონომიკური კრიზისის არის გაურკვევლობა, რომლის დროსაც სახელმწიფონ ან განვითარებისთვის უნდა იბრძოლოს და შეძლოს პროგრესირება, ან დესტრუქციისაკენ უნდა მიემართოს. მეორე ეტაპი არის მოულოდნელობა, რომელიც უმეტესად ინფორმაციის ნაკლებობის ან პირიქით გადამეტებული ინფორმაციის ცოდნის შემთხვევაში გვხვდება. ეკონომიკურ კრიზის მრავალგვარი სახე შეიძლება ქონდეს, ჩამოთვლილი ფაქტორებიდან მხოლოდ რამდენიმე ფაქტორი იმოქმედებს ეკონომიკურ მდგომარეობაზე და არა ყველა ფაქტორი ერთად. როცა ეკონომიკურ ანალიზს ვიწყებთ აუცილებლად უნდა გამოვყოთ ის კონკრეტული და მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც ძირითად გამომწვევ მიზეზებს წარმოადგენენ.

[19] https://www.geostat.ge/ka



გლობალური პროცესები უფრო და უფრო ვითარდება, ეკონომიკას აძლევს საშუელაებად ფართო ასპარეზზე გავიდეს. რა საკვირველია, ზოგიერთი ქვეყანა გლობალიზაციისგან მიიღებს შესაბამის სარგებელს, მაგრამ ზოგიერთი ვერ შეძლებს შანსის გამოყენებას და დაზარალდება. გლობალიზაცია ასახავს მზარდ ეკონომიკურ ინტეგრაციას, რომელიც იწვევს საერთაშორისო ვაჭრობას,ფინანსების განვითარებას. გლობალიზაციის შედეგად მიღებული შედეგების უმეტესობა ეკონომიკური და ფინანსურია. არცერთ ქვეყანას არ გააჩნია ყველა წარმოებისთვის საჭირო რესურსი, გეოგრაფიული მდებარეობით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით. გლობალიზაცია ასევე აძლევს საშუალებას ინვესტორებს, განვითარებად და განვითარებულ წვეყნებში ინვესტიციების განხხორციელებისა, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს ეკონომიკურ გაფართოებას. დღესდღეისობით, [20]გლობალიზაციის პროცესის დამსახურებაა ის, რომ ერთი და იგივე პროდუქტი შეგვიძლია ვნახოტ რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად, ერთი და იგივე მომსახურება და სერვისი. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ბევრად მარტივი გახადა ადამიანებთან ურთიერთობა და კონტაქტი სოციალური მედიის ნებისმიერი საშუალებით. გლობალიზაცია არის ქვეყნებს შორის ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების შედეგი. ბევრს კამათობენ გლობალიზაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე, რადგან მან დიდი გავლენის მოხდენა შეძლო სხვადასხვა გზებზე. გლობალიზაციის დადებით მხარეებში პირველ რიგში მოისზრება მისი ხელშემწყობი ფაქტორები დემოკრატიის ჩამოყალიბებისას, ხელს უწყობს მსოფლიოს განვითარებას.

[20] https://www.geostat.ge/ka

გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც გვლენას ახდენს საზოგადოებაზე, პოლიტიკაზე, კულტურაზე, მას შეუძლია გავლენა მოახდინოს მსოფლიო ეკონომიკაზე და შესაბამისად საზოგადოების ეკონომიკურ მდგომარეობაზე.გლობაიზაციის მნიშვნრლობიდან გამომდინარე ის ნიშნავს, როგორც პროდუქტის გაცვლას ან მის წარმოებას სხვადასხვა ქვეყნებში, იგი ასევე ინვესტიციების დაბანდებასაც გულისხმობს. მიუხედავად ამისა შესაძლებელია, რა თქმა უნდა გლობალიზაციას ქონდეს თანმდევი უარყოფითი ეფეტებიც, რომელიც შემდეგ დიდი გავლენას იქონიებს საზოგადოების კეთილდღეობაზე. როგორც უკვე მრავალჯერ აღვნიშნე გლობალიზაცია დიდ გავლენას ახდენს ექსპორტ-იმპორტის პროცესების განვითარებაზე. ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზე მოცემული მონაცემებში გამოსახულია ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნები[21]



გლობალური პროცესებიდან გამომდინარე დროთა განმავლობაში იმატება პროდუქტის წარმოებაზე მოთხოვნა, რაც გულისხმობს საწარმოების სამუშაო პროცესების გაზრდას, რომელიც შემდეგ გარემოს დაბინძურებას იწვევს. ამ ყველაფერმა კი დიდი გავლენა იქონია გლობალურ დათბობაზე, რაც კიდევ უფრო მეტ საფრთხეს ქმნის და ეჭვქვეშ აყენებს რამდენიმე ათწლეულში საზოგადოების [22]მდგომარეობას.გლობალური პროცესები ასევე გავლენას ახლდენს დასაქმების სფეროზე ბევრ ქვეყანაში, ეს ყველაფერი კი გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთმა ქვეყანა განვითარებულია და შესაბამისად მეტი შესაძლებლობა აქვს ფეხი აუწყოს გლობალიზაციის პროცესებს, ხოლო ზოგიერთი ქვეყანა განვითარებადია და შესაბამისად განვითარებულ ქვეყანასთან შედარებით რთულია ამ პროცესების გადალახვა.რაც შეეხება დასაქმებას, განვითარებადი ან ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან ხდება სამუშაო ძალის გადინება, რაც გამოწვეული განვითარებულ ქვეყნებში არსებული მაღალი ანაზღაურებით და სამუშაო

[22] https://www.geostat.ge/ka

ძალის მოთხოვნით. მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში საზოგადოების დასაქმების მაჩვენებელი მას შემდეგ საგრძნობლად შემცირდა რაც ბაზარზე და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ჩინეთი გამოჩნდა. გლობალიზაციის უარყოფითი გავლენის შემჩნევა სხვა კიდევ უამრავ ქვეყანაში შეგვიძლია. ქვეყნებს შორის საკმაოდ ნათლად ჩანს ფაქტი, რომ ერთსა და იმავე სამუშაო ადგილზე მომუშავე დაქირავებულ ადამიანს სხვადასხვა ქვეყანასი ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული ანაზღაურება აქვს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უარყოფითი მხარე გლობალიზაციის პროცესში არის საგადასახადო ცვლილებები, რომელსაც ქვეყანაში არსებული მსხვილი კომპანიები არეგულირებენ მათთვის უფრო ხელსაყრელი მდგომარეობით. კომპანია, რომელსაც აქვს გადაადგილების საშუალება სხვა ქვეყანაში, იმისთვის რომ ნაკლები გადასახადი ქონდეს, მისი გადაადგილებით საზოგადოება საკმაოდ მძიმედ განიცდის გადასახადების ცვლილებას. საზოგადოებას არ აქვს საშუალება ქვეყნიდან ქვეყანაში გადაადგილდეს და მისი ადგილმდებარეობა ხშირად ცვალოს, რადგან მათ აქვს საკუთარი სამუშაო ადგილი, რომლის დაკარგვაც არც ისე მარტივია მათთვის. გლობალიზაციის პირობებში სამუშაო ადგილების არ არსებობის დროს კონკურენციაც საკმაოდ იზრდება კომპანიებს შორის.

ფაქტია, რომ გლობალიზაციამ მსოფლიოში საკმაოდ კონკურენტული გარემო შექმნა.თითოეული ქვეყანა და მასში არსბეული ორგანიზაცია, ცდილობს წარმოებული პროდუქცია და მომსახურება გაყიდოს დიდი რაოდენობით მაქსიმალურად დაბალ ფასად. რაც შეეხება ფასების დაწესებას, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან რაც უფრო დაბალია ფასები კონკურენტებს შორის, მით უფრო დიდი მოთხოვნა კონკურენტებს შორის, საზოგადოება კი ყოველთვის მაქსიმალურად აპიარებს იმას რაც საბოლოო ჯამში ყველაზე იაფია მისთვის. კიდევ ერთი გზა, რითიც კომპანიები ცილობენ გადასახადების შემცირებას არის ხელფასების შემცირება. წარმოებისათვის საჭირო პროდუქციაზე ნაკლები ხარჯის გაწევა უხარისხო პროდუქციის გამოყენებით, რაც შემდეგ თავისმხრივ დიდ გავლენას ახდენს გლობალურ გარემოზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გლობალიზაციის უარყოფით ფაქტორებთან დაკავშირებით დამოუკიდებლობის ან დამოუკიდებლობის ნაკლებობის ირგვლივ ტრიალებს.გარკვეული ქვეყნები შეიძლება დამოკიდებულები იყვნენ იმპორტზე, ვიდრე წარმოების პროცესებზე. ეს პროცესი პირდაპირ მოქმედებს საკუთარი პროდუქციის წარმოების შეჩერებაზე და ქვეყანა პირდაპირ გადადის იმპორტირებულ პროდუქციაზე, რის საფუძველზეც იგი დამოკიდებული ხდება რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაზე და შესაბამისად საკუთარ კეთილდღეობასაც სხვა ქვეყანას გადასცემს. რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუქვეყანა რომელზეც ვართ დამოკიდებული რომ პროდუქციის იმპორტი მოხდება ამოწურავს რესურს? ეს მხოლოდ საკვებსა და ტასაცმელზე ხომ არ არის დამოკიდებული, ეს ყველაფერი ტექნოლოგიური განვითარების პროცესსაც აჩერებს. აქედან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ქვეყანა არ აწარმოებს საკუთარი სახსრებით პროდუქციას და სხვა ქვეყანაზეა დამოკიდებული კრიზისის მაღალი რისკის ქვეშ არის, რადგან მისი რესურსი მხოლოდ და მხოლოდ პოტენციურად ფუნქციონირებს.

საბოლოდ გლობალიზაცია ქვეყნებს აძლევს საშუალებას ითანამშრომლონ ერთმანეთთან სხვადასხვა პროცესებში ინტეგრაციით, რაც აღნიშნულ ქვეყნებს ერთმანეთზე მჭირდროდ დაკავშირებულს და ერთმანეთზე დამოკიდებულს ხდის. ეს ჯაჭვი კი ერთმანეთზ მჭიდროდ არის დამოკიდებული, შესაბამისად ერთთმა კონკრეტულმა ქვეყანამ შესაძლოა გავლენა სხვა ქვეყნებზეც მოახდინოს, ეს ყველაფერი კი გლობალიზაციის სისტემას უკავშირდება და დიდი საფრთხის წინაშე აყენებს სხვა ქვეყნებს.დროთა განმავლობაში ეს ურთიერთობები კიდევ უფრო მჭირდროდ დამოკიდებული ხდება, ანუ გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად ქვეყნებს შორის ურთიერთობაც ვითარდება და შესბამისად კიდევ უფრო მეტად ხდებიან ქვეყნები ერთმანეთზე დამოკიდებულები.

რა თქმა უნდა შეუძლებელია ყველა დაეთანხმოს იმას, რომ გლობალიზაციას მხოლოდ დადებითი მოვლენები ახლავს თან. ის ვინც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგია, მისთვის გლობალური პროცესები არც ისე საინტერესო იქნება. სავალუტო ფონდის განცხადებით ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და უცხოური კაპიტალის განვითარება, იწვევს უთანასწორობას განვითარებად ქვეყნებში. რეალურად სხვადასხვა კვლევების საფუძველზე საკმაოდ მცირე რაოდენობის ქვეყნები სარგლობენ გლობალიზაციის პროცესის უპირატესობებით. რაც შეეხება უარყოფით ეფექტებს ეს განვითარებულ ქვეყნებშიც ფიქსირდება, ძირითადად იმ კომპანიების წყალობით რომლებიც თავიანთ პროდუქციას იაფი ქვეყნებისთვის აწარმოებენ, ეს ყველაფერი კი როგორც აღვნიშნე ნეგატიურ გავლენას ახდენს განვითარებულ ქვეყნებზე.

გლობალიზაცია არის განვითარებადი და გარდაუვალი პროცესი, რომელიც წლების განმავლობაში განაგრძობს განვითარებას, ყველა იმ რესურსის გამოყენებით რისი ათვისებაც შესაძლებელია, რაც სავაჭრო ურთიერთობებს ბევრად ეფეტურს გახდის. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ,რომ მიუხედავად იმ დადებითი მხარეებისა რაც გლობალიზაციას ახლავს თან ბევრი უარყოფითი პროცესითაც გამოირჩევა, რომელსაც დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია თითოეული ქვეყნის განვითარებაზე.

3.2 გლობალიზაციის პროცესში მიმდინარე პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაცია ძირითადად დადებითი შედეგებითა და პროესებით გამოირჩევა რა თქმა უნდა თავისი უარყოფითი მხარეებიც გააჩნია.ამერიკელი მეცნიერის ი.ვალერშტაინის აზრით „[23]გლობალიზაცია სხვა არაფერია, თი არა თანამედროვე სინამდვილის უდიდესი შეცდომა,სახელისუფლებო დაჯგუფებების მიერ თავსმოხვეული სიცრუე, ანუ პროცესი, რომელიც არ წარმოადგენს თვისობრივად ახალ მოვლენას“ გლობალიზაციის ნეგატიური მხარის ნათელი მაგალითია ეკონომიკური კრიზისი. იგი ეტაპობრივად ვითარდება სხვადასხვა ქვეყნებში, თუმცა მსფოლიო ჯერ კიდევ ვერ გაერკვა სიღრმისეულად მსოფლიო ეკონომონიკური კრიზისის წარმოშობის მიზეზებში. ღია ეკონომიკური ურთიეღთობები, რომელიც გლობალიზაციის პროცესსში

[23] Валерштайн И. Глобализация или переходный период. Экономические стратегии

მიმდინარეობს კიდევ უფრო მეტად აჩქარებს ეკონომიკური კრიზისის განვითარებას.“მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის გაღრმავებამ თავისი ეგატიური მხარეები მკაფიოდ გამოავლინა. კრიზისმა გადაინაცვლა თითქმის ყველა კონტინენზზე, შეირყა საბანკო სექტორების აზიის უდიდეს ქვეყნებსი- ჩინეთში, ინდოეთში, იაპონიაში, აგრეთვე ისეთ დიდ ქვეყნებში როგორიცაა: ბრაზილია, რუსეთი, კანადა. კრიზისის მასშტაბურობამ და გავრცელების სისწრაფემ მთავრობის დაბნეულობა გამოიწვია. თავიდან თითოეული სახელმწიფო ცდილობდა დამოუკიდებლად შებრძოლებოდა კრიზისულ პროცესებს,მაგრამ შემდგომ ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ავტონომიერ რეჟიმში კრიზისის დაძლევა შეუძლებელი იყო“ [24]გლობალიზაციის პროცესის მიუხედავად ყველა ქვეყანაში ერთი და იგივე ეკონომიკური მდგომარეობა მაინც ვერ ყალიბდება,არიან ქვეყნები სადაც სიღარიბის დონე ისევ უცვლელია, სადაც ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ძირითადი პრობლემები გლობალიზაციის წარმართვის პროცესში იჩენს თავს, რომელსაც საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტები ადგენენ. მაგალითად საერთაშორისო სავალუტო ფონდი ძირითადად ემსახურება ფინანსური ინსტიტუტების ინტერესებს, იმის ნაცვლად რომ გლობალიზაციის პროცესში მოახდინოს ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის დასტაბილურება. ამ შემთხვევაში ძირითად პრობლემას ფინანსური ინსტიტუტების პრობლემები წარმოადგენს,რომელიც მათ ვალდებულებებში გამოიხატება და საზოგადოების სიღარიბის პრობლემის მოგვარების ნაცვლად ბანკების კეთილდღეობაზე ზრუნავენ.

თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზისის განვითარების ფონზე, ეკონომიკის სტაბილური ფუნქციონირებისათვის მსოფლიომ გვერდი ვერ აუარა —მივიწყებულ კეინსის ეკონომიკურ თეორიას ეკონომიკის რეგულირების აუცილებლობის შესახებ. ჯ.მ.კეინსის, —ზოგადი თეორიის“არსი მდგომარეობდა იმაში, რომ საბაზრო მექანიზმი ვეღარ მოქმედებდა ავტომატურად. ბუნებაში არ არსებობს სრულყოფილი კონკურენცია, რომ საბაზრო ეკონომიკის გამართული, მდგრადი ფუნქციონირება შეუძლებელია თუ არ მოხდა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში. კეინსმა დაასაბუთა, რომ სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში, მთავრობის ფუნქციების გაფართოება ერთადერთი საშუალებაა ეკონომიკური კრიზისების, დეპრესიის, უმუშევრობის თავიდან ასაცილებლად, რომ განვითარებული კაპიტალიზმის პირობებში ყველა მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა რესურსების მიწოდების სფეროში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ მოთხოვნის სფეროში3 . შემდგომში ყოველივე ეს ცნობილმა გერმანელმა პოლიტიკოსმა და სახელმწიფო კანცლერმა, ლუდვიგ ერჰარდმა თავისებური ინტერპრეტაციით გაიმეორა —სახელმწიფოს ამოცანა არაა უშუალოდ ეკონომიკაში ჩარევა, იქამდე ვიდრე ამას თავად ეკონომიკა არ მოითხოვს”[25]

თუმცა,არსებობს ერთი გარემოება, რომელიც ეკონომიკურ თეორიაშიც კი ინვესტიციების განხორციელების თანმდევია და რომელიც გარკვეულად ხელს უწყობს ინფლაციურ როგორც

[24] ი.მესხია „გლობალური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკა“ ჟურნალი სოციალურ ეკონომიკა №2. თბილისი. 2009

[25] ლ.ერჰარდი. კეთილდღეობა ყველასათვის. (თერგმანი გერმანულიდან). თბილისი, 2011.

უკვე აღვნიშნეთ გლობალიზაციას რამდენიმე სახე გააჩნია, რომლის გაანალიზებაც საჭიროა გლობალური პროცესებისათვის ფეხის ასაწყობად. ესენია ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და სოციალური გლობალიზაცია.

მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ კუტურული გლობალიზაცია, რომელზეც საკმაოდ დიდ გავლენას ახლდენს გლობალური პროცესები. კულტურული გლობალიზაციის მიზანია რომ რელიგია და თითოეული ქვეყნის ეროვნული მახასიათებლები გახდეს საერთო ნიშნის მატარებელი. იქიდან გამომდინარე, რომ თითოეული ქვეყნის კულტურა და რელიგია გარკვეული ნიშნით განსხვავდება სხვა ქვეყნისგან და ამავდროულად გამოირჩევა თავისი ღირებულებებით,საკმაოდ ბევრი წინააღმდეგობების გადალახვა უწევს. თუმცა გლობალიზაციის პროცესშიც შეიძლება კულტურული მახასიათებლების შენარჩუნება, ეს ყველაფერი კი რა თქმა უნდა ერის სიძლიერეზეა დამოკიდებული, იმაზეა დამოკიდებული თუ რამდნად შეძლებს საზოგადოება თავიანთი ფასეულობების შენარჩუნებას. გლობალიზაციის უარყფით მხარედ შეგვიძლია ჩავთვალოთ ეროვნული თვითმყოფადობის შესუსტება.

საერთაშორისო ბიზნეს გლობალიზაცია, დროთა განმავლობაში ასუსტებს სახელმწიფო ხელისუფლების უფლებებსა და შესაძლებლობებს, ტრანსნაციონალური და საავჭრო ინსტიტუტების მეშვეობით. ბიზნესის გლობალიზაცია ხელს უწყობს სოციალური ორგანიზაციების ჩამოყალიბებას რომელიც ამასთანავე ხელს უწობს ეროვნული მმართველობის როლის შემცირებას საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში. შესაბამისად საერთაშორისო ბიზნესის გლობალიზაციის პროცესი აიძულებს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ გაითვალისწინონ გლობალიზაციის ახალი რეალობა.

გლობალიზაცია უნდა იყოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშემწყო პროცესი, სადაც ყველა ბარიერი იქნება აღმოფხვრილი, თუმცა დღესდღეისობით კიდევ არსებობენ ქვეყნები, რომლებსაც კიდევ აქვთ გარკვეული შეზღუდვები ვაჭრობის დროს,მაგალითა დღგ იმპორტირებულ საქონელზე. განვითარებული ქვეყნის მაგალითზე რომ განვიხილოთ აშშ-ს უკვე გაუებული აქვს დღგს გადასახადი. დაახლოებით 161 ქვეყანაა, რომელსაც დამათებითი გადასახადი ანუ დღგ აქვს იმპორტირებულ საქონელზე, რაც ვროპული ქვეყნების დაახლოებით 21.6 %ს შეადგენს.საკმაოდ დიდი ძალისხმევა სჭირდება იმას, რომ ქვეყანა იქნება ეს თუ რომელიმე კონკრეტული კომპანია არ განიცადოს სავაჭრო დეფიციტი საერთაშორისო ბაზარზე გასვლის დროს,ამისათვის საჭიროა ქვეყანას ყავდეს ხელისუფლება, რომელიც შეიმუშავებს ხელსაყრელ გეგმას არსებული პროცესების თავიდან ასაცილებლად.

მიუხედავად იმ დადებითი პროცესებისა, რომელიც ფინანსურ გლობალიზაციას ახლავს თან, უარყოფითი თვისებითაც გამოირჩევა. ამ პროცესს „ფინანსურ ვირუსს“ უწოდებენ. აღნიშნული გულისხმობს ფინანსური კრიზისის სწრაფად გავრცელებას, რომლის მიხედვითაც ერთ ქვეყანაში დაწყებული ფინანსური კრიზისი ხშირად გლობალურ ხასიათს იღებს. კრიზისი ეკონომიკური პროცესების თანმდევი ბუნებრივი პროცესი. 1825 წლიდან

საკმაოდ ხშირად დაფიქსირდა კრიზისული პერიოდები, რამდენიმეჯერ კი მსოფლიო მასშტაბის კრიზისსაც კი წარმოადგენდა. გლობალიზაციის ეპოქაში ეკონომიკური კრიზისების საწყისი ეტაპი 1980-1992 იანი წლებიდან აითვლება. გლობალიზაციის ეპოქის ეკონომიკურმა კრიზისმა ძირითადად ფინანსური სახე შეიძინა, რომელიც გამოწვეული იყო ეკონომიკაში ფინანსური სფეროს გაფართოებით.

ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას გლობალიზაციის პერიოდში განვითარებულ ქვეყნებში სამუშაო ადგილების სიმცირე წარმოადგენს. რობერტ სკოტის აზრით „ჩინეთს ყველაზე სასურველი ადგილის წოდება მიენიჭება მისი სამუშაო ადგილების გამო“ იგი დაახლოებით 3.2 მიონი სამუშაო ადგილით ლიდერობს. გლობალიზაცია იწვევს შრომის ექსპლუატაციას. მაგალითად პატიმრები და აღმზრდელები საკმაოდ რთულ და არაადამიანურ პირობებში მუშაობენ. არ გააჩნიათ არანაირი უსაფრთხოების ნორმები, რომელიც დაბალი ფენის მუშახელისთვის იგნორირებულია, შესაბამისად ტრეფიკინგის ზრდაც აისახება დროთა განმავლობაში. სამუშაო დანაკარგებისა და სხვა ეკონომიკური გამოწვევების გამო განვითარებულ ქვეყნებში სოციალური კეთილდღეობა საკმაოდ რთულ მდგომარეობაშია.

ანტიგლობალისტების აზრით გლობალიზაცია არ მოქმედებს მსოფლიოს უმრავლესობისთვის.“გლობალური ვაჭრობისა და ინვესტიციების სწრაფი ზრდის ბოლო პერიოდში დაახლოებით 1960 დან 1998 წლამდე უთანასწორობა კიდევ უფრო მეტად გაუარესდა, როგორც ქვეყნებს შორის ასევე ქვეყნის შიგნითაც. როგორც გაეროს განვითარების პროგრამაშია ნათქვამი, მსოგლიოს მოსახლეობის უმდიდრესი ნაწილი რომელიც 20 %ს წარმოადგენს მოიხმარს მსოფლიო რესურსის 86 % მოიხმარს, ხოლო ღარიბი მოსახლეობის 80% კი მხოლოდ და მხოლოდ 14 %ს“. ბიზნესის გლობალიზაციის პროცესში, თუ რომელიმე ქვეყანა ან რეგიონი შედარებიტ სწრაფად განვიარდა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ქვეყანა ერთ დონეზე გადის განვითარების ეტაპებს.გლობალიზაციიდან მიღებული მოგება-ზარალის გადანაწილება ძირითადად მაღალგანვითარებული ქვეყნების მიერ განხორციელებული საგარეო და საშინაო პოლიტიკით ხდება. მსოფლიო ეკონომიკის ზრდა სულად არ ნიშნავს, ყველა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. დროთა განმავლობაში გლობალიზაციის პროცესსში იკვეთება ქვეყნებს შორის უთნაბრობა, რომელიც თანამედროვე, არათანაბარუფლებიანი ურთიერთობების შედეგია. ასევე ხდება ბიზნესის გლობალიზაციის ცალმხრივი უპირატესობები, რომელიც კიდევ უფრო მეტად ართულებს ქვეყნებს შორის ურთიერთობებს. რაც შეეხება ეკონომიკური ურთიერთობებიდან მიღებული მოგების არათანაბარ განაწილებას ხოლმე ესეც თავის მხრივ უარყოფითად მოქმედებს ქვეყნებს შორის ურთიერთობების განვითარებაზე. ყველა ჩამოთვლილი მიზეზი კი გლობალიზაციასთან არის დაკავშირებული, იგი აძევს ქვეყნებს გამოიყენონ თავიანთი მაქსიმალური შესაძლებლობები ქვეყნის განვითარებისათვის და გლობალური პროცესების ფეხის ასაწყობად. გლობალიზაციის პროცესში წარმოებისა მოხმარების პროცესში ძირითად პროცესევ ლიდერი ქვყნები აკონტროლებენ, მათ შეუძლიათ გადამწყვეტი როლი იქონიონ საერთაშორისო ვაჭრობის მოსულობასა და მის

სტრუქტურაზე. რაც შეეხება ნაკლებ განვითარებულ დანარჩენ ქვეყნებს ისინი ეგუებიან შეთავახებულ ცხოვრებისეულ პირობებს. თანამედროვე მსოფლიოში ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული გეგმა თუ როგორ უნდა ხდებოდეს გლობალიზაციის პროცესიდან მიღებული სიკეთის განაწილება ქვეყნებსშორის სმართლიანად. სარგებლის უთანასწოროდ განაწილება რა თქმა უნდა კიდევ უფრო მეტად ართულებს მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას.

როგორც უკვე აღვნიშნე, არაერთი უარყოფითი მხარე გააჩნია გლობალიზაციას, მათ შორის ერთ-ერთ ზიანის მომტან ფაქტორად შესახლოა განიხილოს უცხო ინვერსტორებისა და უცხოური კომპანიების ადგილობრივ ბაზარზე შემოსვლა. რამდენადაც ეკონომიკისთვის ინვესტოციებიევის ზრდას დადებითი ეფექტები ახლავს თან იმდენად შესაძლოა ადგილობრივი კომპანიების დაზარალება გამოიწვიოს, მათი ბაზარზე პოზიციონირებისათვის პირველ რიგში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა.

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია დავასკვნათ,რომ გლობალიზაციას აქვს როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები. იგი მოქმედებს ნებისმიერ ქვეყანაზე მისი განვითარების დონის მიუხედავად.გლობალურ პროცესებში ჩართვა ზოგიერთ ქვეყანაზე დადებითად მოქმედებს, ზოგიერთი ქვეყნის მდგომარეობას კი აუარესებს. ზემო აღნიშნული მიზეზები როფორიცაა სოციალურ-კულტურული პრობლემევის წარმოშობა უმეტესწილად როგორც აღვნინშე ერის სიმტკიცესა და მათ ერთიანობაზექ დამოკიდებული. რაც შეეხება ეკონომიკურ მდგომარეობაზე გავლენის მოხდენას, უარყოფითად იმოქმედებს გლობალიზაცია იმ შემთხვევაში თუ მხოლოდ იმპორტირებული პროდუქციის წარმოება მოხდება და ადგილობრივი წარმოების დონე დაბლა დაიწევს,ამისთვი კი საჭიროა ადგილობრივმა კორპორაციებმა სცადონ რომ ფეხი აუწყონ გლობალურ პროცესებს.

დასკვნა

მსოფლიო ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებაში დიდი როლი აკისრია გლობალიზაციას, რომლის დროსაც იზრდება და იცვლება თითოეული კომპანიისა თუ ქვეყნის მდგომარეობა. იზრდება ინვესტიციების და ვაჭრობის მაჩვენებელი. ეს ყველაფერი კი ნათლად აისახა როგორც განვითარებული ქვეყნების განხილვის დროს ისე განვითარებადი ქვეყნების.გლობალიზაცია განვითარებადი და გარდაუვალი პროცესია, რომელიც წლების განმავლობაში ვითარდება და გამოიყენებს ყველა იმ რესურს რისი გამოყენება და ათვისებაც შესაძლებელია.იგი წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს თანმდევ პროცესს, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ეტაპსა და ყველა სფეროში გამოიყენება. როგროც ნაშრომში აღვნიშნე გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად ვითარდება საერთაშორისო ურთიერთობების წამვანი როლიც. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ გლობალიზაციისპროცესი საკმაოდ რთულია და შესაბამისად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკასაც კი უჭირს გლობალურ პროცესებთან გამკლავება.საწყის ეტაპზე გლობალიზაციას უნდა მოეხდინა სწრაფი ეკონომიკური ზრდა მსოფლიოს მასშტაბით. თუმცა დროთა განმავლობაში გამოიკვეთა, რომ გლობალური ეკონომიკის ზრდის ტემპი საგრძნობლად განსხვავდებოდა მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპისგან, სოციალური უთანასწორობაც შემცირების ნაცვლად გაიზარდა.

მოცემული ნაშრომის ანალიზის საფუძველზე ვნახეთ, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნებისმიერი ქვეყნისთვის. იგი ზოგადი გლობალიზაციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც გამოიხატება საერთაშორისო ბაზრზე მონაწილეობას. გლობალური ეკონომიკა მოიცავს ტრანსნაციონალურ კომპანიებს, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს. გბალურ ეკონომიკაში ყველაზე დიდი ადგილი აშშ-ს ეკონომიკას უკავია, რომელზეც შეიძლება ითქვას, რომ იგი არ არის მხოლოდ ეროვნული სახელმწიფო, არამედ გლობალური სამყაროს მამოძრაველ ძალასაც კი წარმოადგენს. როგორც უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ ეკონომიური გლობალიზაცია ხელს უწყობს საგარეო ვაჭრობის განვითარებას.როგორც სტატისტიკურ მონაცემებში ვნახეთ საქართველოს მაგალითზე გლობალურ სამყაროში დროთა განმავლობაში იზრდება ინვესტიციების დაბანდების რაოდენობა, შესაბამისად შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ გლობალიზაციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს.

გლობალური პროცესები დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე სავაჭრო პოლიტიკის და საგარეო ურთიერთობების განვითაებით.ნაშრომში მოცემულ მონეაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განვითარებული ქვეყნებისთვის გლობალური პროცესები საკმაოდ დადებითად მოქმედებს. გლობალიზაცია ხელს უწყობს ტექნოლოგიების განვითარებას კიდევ უფრო მეტად, რა თქმა უნდა არსებული საბაზრო

ეკონომიკის გაღრმავებას და სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ამყარებს. ისინი ძირითადად ამყარებენ გრძელვადიან ურთიერთობებს და როგორც უკვე აღვნიშნე ისინი ძირითადად ინვესტიციების ექსპორტიორები არიან. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ტექნოლოგიების განვითარება და წარმოებული პროდუქციის ექსპორტირება კიდევ უფრო მეტ გავლენას ახდენს ქვეყნის მდგომარეობასა და მის განვითარებაზე გლობალიზაციის პირობებში.

როგორც მრავალჯერ აღვნიშნე, გლობალიზაცია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით თანამედროვე მსოფლიოს თანმდევი პროცესია.იგი თვითდინებადი პროცესია, რომელიც თავისი მიმდინარეობის დროს ვერ ითვალისწინებს ამა თუ იმ ქვეყნის მდგომარეობას და ვერც თითოეული ქვეყნის შესაძლებლობებს ვერ ითვალისწინებს.თუმცა გლობალიზაცია ქვეყნებს აძლევს საშუალებას ერთამანეთთან ითანამშრომლონ სხვადასხვა პროცესებში ინტეგრაციით,რაც ქვეყნებს ერთმანეთზე უფრო დამოკიდებულს ხდის. ამ პროცესის წყალობით თითოეული ქვეყანა ერთმანეთზეა დამოკიდებული,აქედან გამომდინარე ერთ ქვეყანას შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვა ქვეყნის ეკონომიკურ ან პოლიტიკურ, თუნდაც კულტურულ პროცესებზე. ვფიქრობ, გლობალიზაცია არის პროცესი,რომლიც მიუხედავად მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებისა საჭიროა თითოეული ქვეყნის განვითარებისა და წინსვლისთვის.გლობალიზაციის პროცესში ვითარდება სახელმწიფებსა და რეგიონებს შორის ურთიერთობები,შესაბამისად უნდა არინიშნოს, რომ მსოფლიო შედგება სახელმწიფოების, რეგიონებისა და გლობალიზაციის პროცესების სინთეზით, რომელიც საკმაოდ რთული პროცესია და შესაბამისად მსოფლიო პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ურთერთობებსა და პროცესებს საკამოდ რთულ სახეს აძლევს.

ამრიგად, როგორც გლობალიზაციის კვლევები გვიჩვენებს, რაც უფრო მეტად არის ჩართული ქვეყანა გლობალიზაციის პროცესში, მით უფრო აქრტიურად ინარჩუნებს თავისუფალი ვაჭრობის პროცესში მინიმალურ შემზღუდავ ბარიერებს, ამ პროცესში ჩართული ქვეყნის კანონმდებლობა ბევრად უფრო მოწესრიგებულია და სამეწარმეო გადასახადები კი მაღალი. ინოვაციების განვითარებას ტექნოლოგიების დარგში ხელს უწყობს პოლიტიკა.რაც შეხება ნაკლებად გლობალიზებულ ქვეყნებს, ისინი ატარებენ ისეთ პოლიტკას, რომელიც ბაზრების ფუნქციონირებაში უშუალო ჩარევაზეა დაფუძნებული, შესაბამისად მატი კონკურენტუნარიანობაც სამაოდ მნიშვნელოვნად მცირდება. KOF ინდექსის საფუძველზე შეგვიძლია გავატაროთ ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც წარმოების გაფართოების საშუაელბას მისცემს ქვეყანას, განსაზღვრავს ეროვნული ბაზრის გახსნის პირობებში, სავალურო რისკების რყევებისგან ტვდაცვლის პოლიტიკას.გლობიზაციის პირობებში აუცილებელია მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენოს ქვეყანამ საგარეო პოიტიკური და სოციალური კავშირები. ეს ყველაფერი კი ქვეყანას მაქსიმალურად დაეხმარება სწრაფ ეკონომიკუ განვითარებასა და სტაბილურობის მირწევაში, საგარეო სავაჭრო ურთოერთობების გამყარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შენგელია თ., გლობალური ბიზნესი. თბ., „ახალი საქართველო—. 2011.
2. თეიმურაზ შენგელია, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბ., 2008
3. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2012-2015 წლებისათვის. საქართველოს მთავრობა, თბ., 2011.
4. თამილა თურმანიძე- ეკონომიკური გლობალიზაცია, თანამდროვეობის მთავარი გამოწვევამხარეები. გამომცემლობა „უნივერსალი“ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია 6-7 აპრილი, 2012 წელი
5. ლეილა ქადაგიშვილი- ეკონომიკური გლობალიზაციის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები. გამომცემლობა „უნივერსალი“ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია 6-7 აპრილი, 2012 წელი
6. დავით ქათამაძე- საერთაშორის ბიზნესის მენეჯმენტის საფუძვლები გამომცემლობა“უნივერსალი“ თბილისი 2009
7. ა. აბრალავა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბილისი. 2005
8. რ. ასათიანი. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი, 2010
9. ნინო სამჭკუაშვილი- ინოვაციური ეკონომიკ: განვითარების პრობლემები და პერსპექტივები II საერთაშორისო სამეცნიერი კონფერენცია შრომის კრებული 2017
10. Globalization(yesterday,today and tomorrow) Jim Sheffield, Andrey korotayev, Leonid Grinin Hardcover april 2013
11. Globalization (The key Concepts) Annabelle Mooney and Betsy Evans Paperback 2007
12. TheCauses of globalization; Geoffrey Garret Yale University.
13. https://academized.me/globalization-essay-example-positive-and-negative-effects-of-globalization?fbclid=IwAR0lNPfXaeAsXJFxQAAlRgUPxZWAsjoKUs2J0RA6KuAPhf-wAB723gLokHs
14. https://carnegieendowment.org/1999/03/18/globalization-and-developing-countries-inequality-risk-pub-38?fbclid=IwAR1xOhj3HBkblRniJi-2GKD1c8KjLIujXENvBp-xVEJ-Faf6JH3dj3EBSpA
15. https://forbes.ge/news/1893/ekonomikuri-globalizaciis-msoflio-indeqsi
16. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1-----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.1&d=HASH0efc7ef1128bd0c35f5382.7
17. https://essayshark.com/blog/globalization-presentation-is-it-good-or-bad-for-mankind/

18. https://www.oecd.org/southafrica/globalisation-regional-integration-and-prospects-for-south-africa.htm
19. https://www.bartleby.com/essay/Negative-Effects-of-Globalization-F33ZQSXHKUEY
20. https://www.bartleby.com/essay/The-Impact-Of-Globalization-On-The-Economy-F3DBP83VGXYQ
21. https://carnegieendowment.org/1999/03/18/globalization-and-developing-countries-inequality-risk-pub-38?fbclid=IwAR1xOhj3HBkblRniJi-2GKD1c8KjLIujXENvBp-xVEJ-Faf6JH3dj3EBSpA
22. https://www.forbes.com/sites/mikecollins/2015/05/06/the-pros-and-cons-of-globalization/#bbd3535ccce0
23. https://ourworldindata.org/trade-and-globalization
24. https://ged-project.de/research/studies/globalization-report-2018-who-benefits-most-from-globalization/?cn-reloaded=1
25. https://www.quora.com/What-are-the-problems-of-globalisation
26. https://core.ac.uk/download/pdf/81209183.pdf
27. http://d3n8a8pro7vhmx.cloudfront.net/unitedchurchofchrist/legacy_url/417/what-is-economic-globalization.pdf
28. https://www.quora.com/What-are-the-problems-of-globalisation
29. https://ged-project.de/research/studies/globalization-report-2018-who-benefits-most-from-globalization/?cn-reloaded=1
30. https://ourworldindata.org/trade-and-globalization
31. https://www.forbes.com/sites/mikecollins/2015/05/06/the-pros-and-cons-of-globalization/#6f94941bccce
32. https://chalaepec.wordpress.com/category/%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98/
33. https://www.geostat.ge/ka
34. https://www.bartleby.com/essay/The-Negative-Impacts-Of-Globalization-F3LT9R3VUXYW
35. https://ideas.repec.org/p/sza/wpaper/wpapers242.html